№ 2729
სამშაბათი,
18 იანვარი

ცნობის ფურცელი

№ 2729
სამშაბათი,
18 იანვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
სამშაბათს, 18 იანვარს, 1905 წელს წარმოდგენილი იქნება
„მოცარტი და სალიერი“, „სოფლური პატიოსნება“ და „მანდარინის შვილი“
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: დონსკაია, ვიკშემსკაია, ბუნაკოვა, ხარიტონოვა და სხ.; ბ-ნნი: ბოგდანოვიჩი, სიკაჩინსკი, პოლუიანოვი, დემიანენკო, მურატოვი.
კაპელმეისტერი ეიპენვალდი
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
19 იანვარს—„ფაუსტი“. 14 იანვრისთვის წაღებული ბილეთები 18-თვის გამოდგება. გამგე ი. ა. გეცევიჩი.

ტფილისის
პირველი სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
მ. ა. მოლინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.
ლ. ი. სიმონტი.—ხირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ. და ხუთშაბათ.
ა. ნ. ჭიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
პ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.
ლ. ე. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა, (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით. 1—2 საათამდე.
მ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა—2—3 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.
მ. მ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკეობით 1—2 საათამდე.
საღამოთი:
მ. მ. სიგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველ დღე გარდა კვირისა.—5—6 საათ.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში დღის სამი მან. საზოგადო და ნომერი—5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეოთხე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
ტელეფონი № 274.

ქ. ბათუმში
ექიმი ს. ი. ბეგიშვილი
იღებს ავადმყოფებს (შინაგანი, ვენერიული და საბებიო) დილის 9—12 საათ. საღ. 4—6, სმეკალოვის ქუჩა, ვარძელოვის სახლი. (30—0101—17).

კბილის ექიმი
ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 საათამდე და 5—7-მდე. კვირაობით 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. სახლი დიანისა № 12 „კრუჟოკის“ გვერდით. (6.—23)

ექიმი
ი. ა. გოკიელოვი
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 119. საკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი
ა. ნ. თეთრაძე
სუდებნაია, სახლი № 24. აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (37—636—94)

კბილებს
ვღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვუსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხვედი. მიხეილის ქუჩა № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—417—17)

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მაღალაშვილი
მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.
ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში. კომერციული ბანკის სახლი. (60—403—24)

ექიმი
პ. ა. არდაზიანი
მიიღებს ბავშვების და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10. და საღამოთი 6—6½ საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 160. და დიდუბეში, სამოქალაქო საავათმყ. პირდაპირ თუთაევის სახლი. საღამოს 7—8. (30—24)

ექიმი
გ. ა. გედალინი
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის კანის და საშარდის; ყოველ დღე საღამოს 5—8 საათამდე.
გადავიდა მადათოვის ქ., ალექსანდროვის სამლოცველოს პირდაპირ. სახლი მარტიროსიანცის № 15. (30—25)

ქუთაისში
ქალის ექიმი
დავით [illegible] ქინაშვილი
გადავიდა [illegible] ქუჩაზე წმ. ნინოს ქალების გიმნაზიის პირდაპირ. იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე. (30—0198—13)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი
იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—17—4)

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი
[illegible] სპეციალისტი გულისა და ბავშვების [illegible]ს, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის [illegible] და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 154 [illegible] 825. (90—296—34).

აბაშაში გიორგი გიტოსძე ცომაიას სახლში იყიდება იაფათ და ხელ მისაწვდომ ფასში საუკეთესო ბაღდადის ჯიშის **ბრეშუმის თესლი**, როგორც თეთრი ისე ყვითელი: ამასთან ვინც თესლს იყიდის, უსასყიდლოთ დაეთმობა ორმოცდა ათი ძირი ბჟოლის ნერგი. მსურველს თესლის უყიდლათაც შეუძლია ბჟოლის ნერგი შეიძინოს. (4—171—1)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
16 იანვარი

პეტერბურგი. გენერალ-ლეიტენანტის სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბს 15 იანვარს: „დაწვრილებითი ცნობები 13 და 14 იანვარს სანდეპუსთან მომხდარ ბრძოლის შესახებ. ჩვენის ჯარის ერთი რაზმი 13 და 14 დეკემბერს მოქმედებდა იაპონელთა იმ პოზიციის წინაამდეგ, რომელიც სანდეპუსთანაა. მეორე რაზმი პირველს იცავდა სამხრეთით, ნეიგოუტის მიდამოებში. 12 იანვარს იაპონელები ჯარის მოგროვებას შეუდგნენ სანდეპუსა და იმის სამხრეთით; ეტყობა, გამოლაშქრებას აპირებდნენ. 14 იანვარს ჩვენის განაპირა რაზმის ჯარი თვითონ გაელაშქრა და გაემართა სოფლებ სუმაპუსა და პოტაიასს წინაამდეგ. ეს სოფლები სანდეპუს სამხრეთით მდებარეობენ, 6 ვერსის მანძილზე. ორივე სოფელი მთელ დღეს მტერს ეჭირა. 14 იანვარს ამ ადგილას ცხარე ბრძოლა იყო. ნაშუადღევის 12 საათსა და 10 წუთზე ჩვენმა ჯარმა დაიჭირა სუმაპუ. 13 იანვარს, საღამოთი, იმ რაზმმა, რომელმაც სანდეპუზე მიიტანა იერიში, დაიჭირა ძლიერ გამაგრებულ სოფლის დიდი ნაწილი; მაგრამ ამ დიდ სოფლის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით აღმოჩნდა ძაგარი რედუტი, რომელსაც სამი წყება სიმაგრე ჰქონდა. რედუტი შეარაღებული იყო საველე ზარბაზნებით და ტყვიის მტყორცნელებით. ჩვენის ზარბაზნების ყუმბარებს თითქმის ვერაფერი დააკლო ამ რედუტისთვის. ამ რედუტის აღება შეუძლებელი იყო უიმისოდ, თუ ხელ-ახლა ყუმბარებს არ დაუშენდნენ და ამ რიგად არ მოამზადებდნენ საქმეს. ამიტომ ჩვენი ჯარი სანდეპუდან უკანვე წამოიყვანეს. საჭირო იყო ჯარის წამოყვანა იმიტომაც, რომ მთელ სოფელს ცეცხლი ჰქონდა მოდებული და იქ დარჩენა შეუძლებელი იყო. 14 და 15 იანვარს ჩვენები განუწყვეტლივ ყუმბარებს უშენდნენ სანდეპუსა და იმის რედუტს. ამავე დროს ჩვენ განაპირა რაზმს ცხარე ბრძოლა ჰქონდა სუმაპუსა და პოტაიასთან, სადაც მტერმა თავი მოუყარა კარგა ბლომა ჯარს და წინ გამოემართა როგორც ფრონტიდან, ისე ჩვენ მარცხენა მხრიდან. დაწვრილებითი ცნობები ამ ბრძოლის შესახებ ჯერ არ მიგვიღია. 13 და 14 იანვარს ჩვენი ცხენოსანი ჯარი მოქმედებდა სუერპუსა და ლანდუნგოუს მიდამოებში. სანდეპუს სამხრეთით, ასე 8 ვერსზე, პოდესაულის აჟენევის სოტნამ იერიში მიიტანა და აჰყუწა იაპონელთა როტა; ამასთან ტყვედ წამოიყვანა 100 კაცი. როტას იაპონელთა სხვა ჯარი მიეშველა, მაგრამ ჩვენმა ცხენოსანმა ბატარეამ შეაჩერა. მტერს თვალსაჩინო ზარალი მოუვიდა, რადგან ორი საათის განმავლობაში ჩვენები ზარბაზნებსა და თოფებს უშენდნენ. ჩვენმა ცხენოსანმა ბატარეამ ყუმბარები დაუშინა სოფელ ლანდუნგოუს იმ დროს, როდესაც იქ შედიოდნენ იაპონელთა ერთი პოლკი, ჩრდილოეთიდან დაბრუნებული, და ორი პოლკი, სამხრეთიდან საშველად წამოსული. აქაც დიდი ზარალი უნდა მოსვლოდეთ იაპონელებს.

ვლადივოსტოკი, 13 იანვარი. ბრძანება გამოვიდა, ვისაც ვლადივოსტოკში წასვლა უნდა, პასპორტის გარდა უნდა მოწმობა ჰქონდეს პოლიციისა ანუ მთავრობის სხვა დაწესებულებებისა, რომლითაც უფლება ეძლევა ქალაქში შესვლისა. ვინც მოწმობას არ წარადგენს, სადგურ ნადეჟდინსკაზე აჩერებენ.

ტოკიო. 16 იანვარი. ოფიციალური. რუსის არტილერია, რომელიც იაპონელთა მარჯვენა ფრთის და ცენტრის წინაამდეგ სდგას, [illegible] გამ[illegible]შვებით ესროდა იაპონელთა ზან[illegible]. 15 იანვრის რუსების პატარ-პა[illegible]რიშები ყველგან უკუ ვაქციეთ. იაპონელთა მარცხენა ფრთის რაზმმა რუსებს აჯობა და 13 იანვარს ლუნდუნგოუ დაიჭირა, იაპონელთა ერთმა რაზმა, რომელიც ხეიგოუტაის წინაამდეგ იდგა, პოზიცია დაიჭირა აღმოსავლეთ-სამხრეთით და თვით ხეიგოუტაის დაჭერაც უნდოდა. იაპონელთა მეორე კოლონამ რუსები იქიდან განდევნა და ქვეითა ჯარის ერთმა პოლკმა და ცხენოსანთა ჯარმა 12 ზარბაზნით სიუერპუ დაიჭირა, რომელიც 7 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს ხეიგოუტაის სამხრეთით.

ლონდონი. იაპონელთა მისსია ლონდონში, თანახმად ტოკიოდან მიღებულ დეპეშისა, აცხადებს, რომ კოლონამ, რომელმაც სიუერპუ დაიჭირა, რუსები განდევნა, რომელთა ჯარი შესდგებოდა ერთ პოლკ ქვეითა ჯარისაგან და ერთ ბრიგადა კავალერიით 12 ზარბაზნით.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
16 იანვარი

მატურანი, 15 იანვარი, დილის 10 საათი და 40 წუთი. გუშინდელის დღითა და ღამით ჩვენმა ჯარმა ისარგებლა და გაამაგრა უკვე დაჭერილი პოზიციები. 12 და 13 იანვარს ქვეითა ჯარსა და არტილერიას ცხარე ბრძოლა ჰქონდა მდინარე ხუნხეს მარცხენა ნაპირზე. ცხენოსანმა ჯარმა უკუ-აგდო იაპონელნი ხუნხესა და ჩმოხს შუა, შემდეგ შეეხეჩა მტრის ცხენოსან ჯარს, იერიში მიიტანა, უკუ-აქცია და სდევნა იგი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. უნაყოფო, მაგრამ ცხარე დღიურ ბრძოლის შემდეგ, ღამე, ციმბირის პოლკებმა თოფის გაუსროლელად შტიკებით დაიჭირეს სოფელი სუნაპუ, ხუნხეს მარცხენა ნაპირზე. ჯარი მამაცად იბრძვის. ახლად მოსული ჯარი ციმბირის პოლკებს არ ჩამოუვარდება.

ხუანშანი, 16 იანვარი, დილის 6 საათი და 55 წუთი. ყინვა თან და თან უფრო უჭერს. ცივა, ჩრდილოეთის ქარი უბერავს. დაზვერის დროს 14 იანვრის ღამეს სოფელ ნანგაზაში პატარა რაზმი აღმოჩნდა, იაპონელთა [illegible] სროლა დაუწყეს. 14 იანვარს ჩვენი არტილერია ყუმბარებს უშენდა სოფლებს ფანშენს, გუცაოვას, სინლუნტუნ-პუნკის და სამ-ზურგიან სოპკას. იაპონელებს პასუხი თითქმის არ გაუციათ. შენიშნეს, რომ ზოგიერთ სოფლიდან იაპონელები თითო-თითოდ გარბოდნენ.

სახეპუნი, 16 იანვარი. 15 იანვარს ბრძოლა მარჯვენა ფრთაზე მისწვდა. დღეს სიწყნარეა. ღამე იაპონელებმა რუსის პოზიციებზე, რკინის გზის მარჯვნივ, იერიში მოიტანეს, უთუოდ განგებ. სროლის შემდეგ იაპონელები თავიანთ პოზიცებზე დაბრუნდნენ. შეჩერდა იაპონელთა ის ჯარიც, რომელიც რუსის მარჯვენა ფრთის წინაამდეგ მოდიოდა. დღეს ძლიერი ყინვაა. 13 და 14 იანვარს ერთი რუსის რაზმი სანდეპუს წინაამდეგ მოქმედებდა. მეორე რაზმი ხეიგოუტაის მიდამოებში იყო. იაპონელებმა თავი მოუყარეს ჯარს სანდეპუს სამხრეთით და უნდოდათ გამოლაშქრება. რუსის რაზმმა დაასწრო და იერიში მიიტანა სანდეპუზე. ამ იერიშის დროს რუსებს მოუკლეს და დაუჭრეს 24 აფიცერი და 1600 სალდათი. აღმოჩნდა, რომ იაპონელთა უფრო ძლიერ სიმაგრესთვის სოფლის ჩრდილოეთ აღმოსავლეთ ნაწილში რუსის ყუმბარებს ვერაფერი დაეკლოთ. ამ სიმაგრიდან იაპონელთა ზარბაზნები და ტყვიის მტყორცნელები მუსრს ავლებდნენ რუსის ჯარს, რომელმაც დაიჭირა ცეცხლ წაკიდებული სანდეპუ. სოფლიდან ჯარი გამოიყვანეს და სოფელს 14 და 15 იანვარს ყუმბარები დაუშინეს.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
16 იანვარი

პეტერბურგი. ოფიციალური. 6 იანვარს ნევაზე წყალკურთხევის დროს მომხდარ უბედურ შემთხვევის გამო, კომისიის გამოძიებამ შემდეგი აღმოაჩინა:

4 იანვარს მათის უდიდებულესობის გვარდიის ბატარეაში შინაურულად მეცადინეობდნენ ექვს ზარბაზნით სამეცადინო ყუმბარებით. სწავლა რომ გათავდა, ეფრეიტორებს უნდა გაეწმინდათ ზარბაზნები და ბუდეები ჩაეცმიათ, რაიც შესრულებულ იქნა მეორე და მესამე ვზვოდში. ხოლო პირველ ვზვოდში ეფრეიტორმა ეს არ აასრულა და მხოლოდ ბუდეები ჩააცვა ზარბაზნებს. წყალკურთხევა დღეს ბატარეების უფროსები იმ დროს მივიდნენ, როცა ზარბაზნები უკვე შებმულები იყვნენ და მზად იყვნენ წამოსასვლელად. უფროს აფიცრებმა მხოლოდ გარედან დაათვალიერეს ზარბაზნები. არც ეფრეიტორებს ზოგიერთის [illegible] გაუხდიათ. როცა სასროლად მოემზადნენ, ზარბაზნის ლულები არ იყო ზუმპებით გაწმენდილი და ისე პირდაპირ გატენეს ზარბაზნები უყუმბარო სასროლით, რომელიც შესდგებოდა კარდონში ჩაყრილ ნახერხისაგან. ჯვრის ჩასვენების წამს დაიწყეს ზარბაზნებმა სროლა ჯერ პირველმა ნომერმა და მერე რიგ-რიგით. ამ გამოკვლევიდან კომისიას ის აზრი გამოჰყავს: ძლიერ შესაძლები იყო, რომ იმ მეცადინეობის დღიდან ერთს ზარბაზნის ლულაში კარტეჩით სავსე ყუმბარა ჩარჩა და ამგვარად მთელი ორი დღე ისე იდგა. ყველა ზარბაზანი რომ გაეწმინდათ, როგორც ამას უყუმბაროდ სროლის წესდება მოითხოვს, ზარბაზნის ლულაში უსათუოდ ჰნახავდნენ კარტეჩს. თოვლზე მოკრებილ კარტეჩის კვალი ცხადად ამტკიცებს, რომ ეს სამეცადინო ყუმბარა იყო. ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ გამოცდის დროს ზარბაზანი ნამდვილ კარტეჩით და ფუჭ ყუმბარით გატენეს და აღმოჩნდა, რომ ყუმბარას ზარბაზნის საკეტის ჩაკეტვა არ შეუძლიან. კომისია ბეჯითად დარწმუნდა, კარტეჩი მის უდიდებულესობის პირველ ბატარეას გაუსროლია. ხსენებულ ბატარეის მეორე ზარბაზნის სალდათებმა აჩვენეს კომისიას, რომ ეს მეორე ზარბაზანი პირველ სროლის შემდეგ ორ ნაბიჯზე უკან გაგორდა და სალდათები იძულებულნი იყვნენ, ისევ წინ წაეწიათ და სხვა ზარბაზნებისათვის დაეპირდაპირებინათ; კომისია ამ ჩვენების შემდეგ დარწმუნდა, რომ კარტეჩი ნამდვილად ამ ზარბაზანს გაუსროლია. გამოძიება დაინიშნა, რომ საბოლოოდ გამოიკვლიოს საქმის გარემოება და ვინ რამდენად დამნაშავეა ამ საქმეში. გამოძიება მინდობილი აქვს პეტერბურგის სამხედრო ოლქის საგანგებო საქმეთა გამომძიებელს პოლკოვნიკ რატისლავსკის, პეტერბურგის სამხედრო საოლქო სასამართლოს სამხედრო პროკურორის გენერალ-ლეიტენანტის პავლოვის ზედამხედველობით.

ყაზანი, 16 იანვარი. ადგილობრივთ ზავოდების კანტორამ განკარგულება მოახდინა, მუშების იმ ოჯახებს, რომელნიც გაწვეულნი არიან სამხედრო სამსახურში, აძლიონ შემწეობა სულ-[illegible] ოჯახს, რომელსაც ზავოდზე წელიწადზე მეტი უმუშავნია, უნდა აძლიონ თვითვეულ ბავშვზე თითო მანეთი და რამდენ ჯამაგირსაც იღებს, იმის მეოთხედიც უნდა მიეცეს. ამ ამბავს ოჯახობა სიხარულის ცრემლებით მიეგებნენ და მადლობდნენ.

კალუგა 16 იანვარი. ღამე იმუტინის რაზიეზდთან მატარებლები დაეტაკნენ ერთმანერთს, ორი პარავოზი დაზიანდა, 15 დახურული ვაგონი დაიმსხვრა და სამიც ცისტერნა. მოკლულია თვლების მწმენდელი მუშა და დაჭრილია მთავარი კონდუქტორი და ერთიც მუშა.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ბრძოლა მდ. ხუნხეზე. „ლოკალ ანცაიგერ“-ისა და „რეიტერის სააგენტოს“ კორესპონდენტის ცნობა არ გამართლდა. მდინარე შახეზე მთელ ფრონტზე ბრძოლა ჯერ არ დაწყებულა. „ლოკალ ანცაიგერ“-ის კორესპონდენტი ბეჯითად იუწყებოდა, დიდი ბრძოლა დაიწყო, ყველაზე გამწვავებული ბრძოლა ცენტრშიაო, ორსავ მხარეს ეხლავე დიდი ზარალი მოუვიდაო; ეს ცნობა მით უფრო დასაჯერებელი იყო, რომ მუკდენიდან იყო გამოგზავნილი, მაშასადამე რუსის სამხედრო ცენზურის ხელში იყო გამოვლილი. „რეიტერის სააგენტო“-ს კორესპონდენტიც იუწყებოდა, ყველგან ბრძოლა დაიწყოო. მაგრამ ეს ცნობა ჯერ-ჯერობით მაინც არ გამართლდა. ჯერ მხოლოდ რუსის არმიის განაპირა მარჯვენა ფრთას გაულაშქრია წინა და იაპონელების განაპირა მარცხენა ფრთაზე მიუტანია იერიში, ჯერ ბრძოლა მდ. ხუნხეს ნაპირებზე, უმთავრესად სოფ. სანდეპუსთანაა. რუსის მარცხენა ფრთაზე და ცენტრში-კი ჯერ-ჯერობით მნიშვნელოვანი ამბავი არა მომხდარა-რა; მართალია რუსის განაპირა მარცხენა ფრთას ზოგგან ცოტათი წინ წაუწევია, ცენტრშიაც რუსის რაზმი სახეპუდან გასულა და რაღაც სიმაგრე დაუჭერია, იაპონელებსაც სახეპუსთანა და იმის სამხრეთით დიდი ჯარი შეუკრებიათ, მაგრამ განაპირა მარჯვენა ფრთის გარდა, ჯერ მნიშვნელოვანი ბრძოლა მაინც არსად მომხდარა...

მდ. ხუნხეს ახლო სოფ. სანდეპუსთან-კი გაძლიერებული ბრძოლაა და ჯერაც [illegible]გათავებულა ეს ბრძოლა... როგორც [illegible] შებიდან სჩანს, რუსის [illegible] კარგა ხანია [illegible]კის უფრო[illegible] ხუნხეს ნაპირ-ნაპირ ქვევით ჩასულა, რამდენიმე სოფელი აუღია და გამაგრებულ სოფ. სანდეპუზე (იგივე შენანპუ) იერიში მიუტანია. რუსები შიგ სოფელშიაც შეცვივნულან, მაგრამ ისევ უკან წამოსულან, რადგან იაპონელებს სიმაგრიდან ზარბაზნისა და ტყვიის მტყორცნელების სროლა დაუწყიათ და დიდი ზარალიც მიუციათ: სახეტუნიდან მიღებული დეპეშა იუწყება, რუსებს სანდეპუში 24 აფიცერი და 1600 სალდათი მოუკლეს და დაუჭრესო. რუსებს ვერ შეუნიშნავთ, რომ ის სიმაგრე, სადაც იაპონელებს ზარბაზნები და ტყვიის მტყორცნელები ეწყოთ, რუსის არტილერიას სრულებით ვერ დაეზიანებინა. როგორც ვიცით, 12 იანვარს სოფ. ხეგოუტაის (ხეჩუატანის) აღების დროსაც 45 აფიცერი და 1000 კაცი მოეკლათ და დაეჭრათ რუსებისათვის. გენერალ-ადიუტანტი მიშჩენკოც ფეხში დაუჭრიათ. იაპონურ აფიციალურ ცნობებიდან სჩანს, რომ იაპონელების განაპირა მარცხენა ფრთასაც მედგარი იერიში მიუტანია, რუსები სოფ. ლუნდუგოუდან, ხეგოუტაიდან და სუერპუდან განუდევნია და ეს სოფლები ხელ-ახლად დაუჭერია. გენ. სახაროვიც იუწყება, იაპონელები სოფ. ლანდუგოუში შევიდნენო.

ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა. ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა კუნძულ მადაგასკართან მივიდა და იქ შედგა. ზოგი ირწმუნება, რუსის ესკადრა აუცილებლად წინ წავაო, ზოგი ამბობს, უკან დაბრუნდებაო. ფრანგული გაზ. „ტან“-ი სწერს: ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა მეტად ნელა მიდიოდა, კუნძულ მადაგასკართან ძლივს მივიდა და ეხლაც ამ კუნძულთან დგას. რუსის ადმირალი, რასაკვირველია, [illegible] რაზმსაც უცდიდა, მაგრამ ამ[illegible] ადმ. როჟესტვენსკი ვერც ჰბედავს [illegible] პირდაპირ, მოურიდებლად ინდოეთის [illegible] შესვლას. რუსის პატრიოტები ამბობენ, ადმირალი გაბედულად უნდა მოიქცეს, პირდაპირ [illegible] ვინიცობაა ადმ. ტოგოს შეხვდება, ან ბრძოლით გზა გაიკაფოს, ან სახელოვნად დაიღუპოს. „სასიკვდილოდ მიმავალი კაცი—საშინელი რამ არისო“—სთქვა გენ. დრაგომიროვმა, და თუ დავუმატებთ, რომ ეს კაცი ადმ. როჟესტვენსკია, ბევრი რისამე გარიგება შეუძლიან, თუ გაბედულად და მედრად მოიქცა. თუ მალაკის სრუტეში გავლა არ შეიძლება, რუსის ესკადრა სამხრეთ-ავსტრალიის გარშემო უნდა წავიდეს. მართალია ეს გზა უფრო გრძელია, სამაგიეროდ ნაკლებაა საშიში; ამ გზაზე რუსის ესკადრა ყველა ხიფათს ასცდება და პირდაპირ კორეის სრუტემდე მივა. ასე ამბობენ რუსის გატაცებული პატრიოტები და ესკადრის დაბრუნება გასაგონადაც-კი ეჯავრებათ. ამბობენ, ვლადივოსტოკს რომ მივა, რუსის ესკადრა დიდ ზარალს მოუტანს იაპონელებს, ზღვის გზებს შეუკრავსო. მაგრამ რუსის ესკადრას იაპონიის ფლოტთან ბრძოლა უნდა შეეძლოს. ვლადივოსტოკი 500 მილზე მეტადაა დაშორებული [illegible]ნისა და ნაგასაკის გზას, ამას გარდა ამ [illegible] საგანგებო ესკადრა იცავს კორეის სრუტეში. მაშასადამე ადმ. როჟესტვენსკიმ ვლადივოსტოკი უნდა დაიცვას, მით უმეტეს რომ გენ. კუროპატკინი მდ. შახეზეა მიჯაჭვული და ვლადივოსტოკს ვერას უშველის. მაგრამ განა ჰღირს ამ [illegible]მისათვის ესკადრა განსაცდელში ჩავარდეს და თითქმის დასაღუპავად წავიდეს, რადგან რუსის ესკადრა რიცხვითაც და ღირსებითაც დაბლა დგას იაპონიის ფლოტზე და თანაც [illegible] ძალი სანახშირე გემი მისდევს. ამბობენ, ადმ. როჟესტვენსკი იაპონიის ფლოტს შეებრძოლება და თუ თითონ დაიღუპება, იაპონელებსაც დიდ ზარალს მისცემსო; ესეთი ბრძოლა მაშინ მოიტანდა სარგებლობას, რუსეთის მე-3 და მე-4 ესკადრა რომ იაპონიის ფლოტზე ძლიერი იყოს. მაგრამ ეს ესკადრებიც სუსტია და იაპონიის ფლოტი მაინც უცილობლად იბატონებს ზღვაზე. დასასრულ გაზეთი სწერს, ადმ. როჟესტვენსკი ვერ შეისრულებს თავის საქმეს; ამიტომ რუსეთმა უსათუოდ უკან უნდა დააბრუნოს თავისი ესკადრაო. („რ.“).

ინგლისური გაზეთები დაახლოვებით ანგარიშობენ, [illegible] რა ხარჯი მოუვიდოდა გზაში [illegible] როჟესტვენსკის ესკადრას. წასვლისას. სწ[illegible]-ნახშირი, კარტები, ნალბა. დაბალი სა[illegible] არ არის, მაგრამ თუ[illegible] ესკადრისათვის დიდად და დიდად საჭირო [illegible] სასწავ-

გაზეთების ანგარიშით, ესკადრა დაახლოვებით 17 ათას ტონა ქვა-ნახშირსა სწვავს ყოველ 12 დღეში. ესკადრა 90 დღეზე მეტსაა გზაში და 130 ათას ტონამდე დახარჯავდა. ვლადივოსტოკამდე სულ მცირედ კიდევ 86 ათასი ტონა დასჭირდება, თუმცა ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ რამდენიც იაპონიის ზღვას მიუახლოვდება, მეტი ქვა-ნახშირი დაეხარჯება ესკადრას. ამიტომ შეიძლება 250 ათასი ტონა ჩავაგდოთ; გემების ქირა და დაზღვევაც რომ ვიანგარიშოთ, სულ რუსებს 5 მილიონი მანეთი დაეხარჯებოდათ ქვა-ნახშირზე. სუეცის არხში გავლა 300 ათასი მანეთი დაჯდებოდა, ლოცმანების ქირა, პორტის ბაჟები, წყლისა და სურსათის სყიდვა $1^1/_2$ მილიონი მანეთი; 3 მილიონიც საბუქსირო და სხვა გემების სყიდვაზეც დაიხარჯებოდა, ასე რომ გზა სულ 24 მილიონი მანეთი დაუჯდება რუსის ესკადრას. („რ.").

პორტ-არტურის კაპიტულიაცია. პორტ-არტურის კაპიტულიაციაზე მეტად არეული ცნობები იბეჭდება გაზეთებში. რეიტერის სააგენტოს საგანგებო კორესპონდენტი იუწყება პორტ-არტურიდან: 16 დეკემბერს რუსებმა სამხედრო თათბირი მოახდინეს და პირველად ამ თათბირმა დაადგინა, იაპონელებს დავმორჩილდეთო. გენ. სტესელმა სთქვა, უნდა დავმორჩილდეთო, მაგრამ ზოგიერთი აფიცერი წინააღმდეგი იყო. სალდათებს და იმ აფიცრებს, ვინც პოზიციებზე იდგნენ, არა ჰკითხეს-რა. იმათ დამორჩილების ამბავი 19 დეკემბერს გაიგეს, იმ დროს, როცა გენ. სტესელმა მოლაპარაკება გამართა იაპონელებთან. დამორჩილების შემდეგ რუსის სალდათებმა ბევრი უწესოება ჩაიდინეს. მთვრალი სალდათები ქუჩებში გავიდნენ და თავიანთ აფიცრებს არას უგონებდნენ. ბევრი სალდათი პოზიციებზე ზარბაზნებს აფუჭებდა და ნება დაურთველად ქალაქში მიდიოდა. ეჭვი არაა, დამორჩილება აუცილებელი როდი იყო, რადგან ციხეში რუსებს 31 ათასი კაცი ჰყავდათ. მართალია ყუმბარა ცოტა ჰქონდათ, მაგრამ მაინც ჯერ გამოლეული სულ არა ჰქონდათ; მართალია ცუდი საჭმელი ეძლეოდათ, მაგრამ კერძო საწყობებში ჯერ კიდევ იყო საკვები სურსათი. ეხლა ქალაქში ძნელი არაა ხორცის შოვნა კერძო დუქნებში. ფაქტიურად ციხეს კიდევ რამდენიმე თვე შეეძლო გამაგრება. რუსის ჯარი კარგ გუნებაზე იყო და სალდათები ბოლომდე ბრძოლას აპირობდნენ. გენ. სტესელს ძლიერ აყვედრიდნენ, რომ ასე ცუდად გაათავა საქმე. რაკი გენ. კონდრატენკო გარდაიცვალა, ციხის ბედიც გადას-[illegible] დათ სალდათებს და ნამდვილი ბურჯი იყო პორტ-არტურისა. („რ.").

ჩვენი საჭიროებანი

მართვა-გამგეობა

ჩვენში დაწესებულმა სასტიკ ადმინისტრატიულმა რეჟიმმა ქვეყანა უკიდურეს მდგომარეობაში ჩააყენა და რომ ნორმალურ წეს-რიგის დამყარებისა და მოქალაქობრივ განვითარებისათვის საჭიროა სრულიად სხვა წესი.

აქ წინ გვეღობება მეტად ძნელი საკითხი განაპირა ქვეყნებისა, ან, უკეთ რომ ვთქვათ, ეროვნული საკითხი. როგორ უნდა მოეწყოს მართვა-გამგეობა იმ სახელმწიფოში, რომელიც, რუსეთივით, ბევრ სხვა-და-სხვა ერისაგან შესდგება? უფრო განვითარებულ სახელმწიფოთა პრაქტიკა და თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერება გვასწავლიან, რომ უკიდურესს ცენტრა-[illegible]) და ერთის ერის სხვა ერეზე გა-[illegible]ების სისტემაზე აგებული წესწყობი-[illegible] ბევრგვარ უსამართლობას ჰბადავს და განუწყვეტელს კრიზისში ამყოფებს სახელმწიფოს. საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს თანამედროვე ავსტრია, სადაც ერთა ბრძოლამ უკიდურესობამდე მიაღწია და სრულიად შეაჩერა სახელმწიფოს ნორმალური განვითარება. ცენტრალურ მთავრობის პოლიტიკამ, რომ აწინდელი წეს-წყობილების [illegible] დარღვეს და გერმანელთა ჯიუტობამ—არამც და არამც არ დავუთმობთ სხვა ერებსაო,—საშინლად გაამწვავა საქმეები და პარტიკულიარიზმის იდეის გაჩენასაც შეუწყო ხელი. თუ ავსტრიამ ვერ მოახერხა დღევანდელ წესწყობილების შეცვლა და სხვა-და-სხვა ერების მოთხოვნათა სრული დაკმაყოფილება, ჰაბსბურგების მონარქია უეჭველად დაინგრევა; ამას აღარ ჰმალავენ თვით ავსტრიის გერმანელი მეცნიერნიც და პოლიტიკური მოღვაწენიც. იმათის აზრით, ავსტრია უთუოდ უნდა გადაკეთდეს ფედერატიულ სახელმწიფოდ, სადაც ყოველს ერს სრული ავტონომია უნდა მიენიჭოს.

რა არის ავტონომია? ეს ბერძნული სიტყვა ჰნიშნავს ისეთს წესს, როცა რომელიმე კავშირი თვითონ ადგენს თავის [illegible] თვის კანონებს. ფედერატი-[illegible] წყობილ სახელმწიფოში [illegible] მიურ ცხოვრებაში და შეადგენს განსაკუთრებულს ავტონომიურს ფედერაციას (ტერიტორიულს ან ეროვნულს). ასეთ სახელმწიფოში მოუხერხებელია ცენტრალურ-ბიუროკრატიის ან ერთის ერის გაბატონება მეორეზე და თვით ეროვნულ საკითხსაც ეკარგება თავისი მწვავე ხასიათი. აქ თვითეული ერი თავისუფლად ვითარდება და თანაც ძლიერია სხვა ფედერაციებთან შეკავშირებით; ამასთანვე მთელი სახელმწიფოც მოგებაშია, რადგან სრულს თავის ენერგიას აღარ ანდომებს ერთა სეპარატიულ მისწრაფებასთან ბრძოლას...

…текарскій магазинъ (ტერ[illegible]) Лукичу Мгрвадзе. (10—413—8)

აღსანიშნავია, რომ თავისუფალ საქართველოს უკანასკნელ მმართველთ სწორედ ასეთი შეერთება ჰსურდათ რუსეთთან. მე-18 საუკუნის დასასრულისა და მე-19-ს დასაწყისის ცნობილი ისტორიული აქტები მოწმობენ, რომ საქართველო თავისუფალი ავტონომია უნდა ყოფილიყო რუსეთის იმპერიაში. მაგრამ, თუ ამ ისტორიულს უფლებას არ მივიღებთ მხედველობაში, თანამედროვე სახელმწიფოთა ცხოვრების მაგალითსა და მეცნიერების დასკვნათ გვერდს ვერ ავუქცევთ. სახელმწიფოს მმართველთ უნდა ახსოვდეთ, რომ „ცეცხლითა და მახვილით" გაერთიანება აღარ ხერხდება, შიშით და ძალ-მომრეობით სხვა-და-სხვა ერების შეერთება ისეთ ანორმალურ მდგომარეობას ამკვიდრებს, რომ სახელმწიფოს მშვიდობიანი ცხოვრება შეუძლებელი ხდება.

რუსეთის იმპერიაში დღეს ბევრი სხვა-და-სხვა ერია და ამიტომ არსებობს ეროვნული საკითხიც: პოლონური, ქართული, სომხური და სხვ. ამ საკითხებს დაეკარგებათ თავისი მწვავე ხასიათი იმდენად, რამდენად წეს-წყობილება სასარგებლო იქმნება ყველა ერისათვის. დღევანდელი ბიუროკრატიული ცენტრალიზმი და სხვა-და-სხვა ერების ძალით გარუსების სისტემა მავნებელია თვით სახელმწიფოსათვის, რადგან დაუსრულებელ კრიზისს ჰქმნის და ამით ასუსტებს იმპერიას. დღეს-დღეობით არც ერთს ერში არ არსებობს ბეჯითი მისწრაფება სრულს განცალკევებისაკენ; თვით პოლონეთში, რომელმაც სულ 40 წლის წინად დაღვარა სისხლი განთავისუფლებისათვის, ამ ჟამად აუცილებელ საჭიროებად არ მიაჩნიათ სრული განცალკევება. პოლონეთის ერის ყველა ელემენტებს დღეს დააკმაყოფილებს ავტონომია; ამის ფარგალში პოლონეთის ერი უფრო მალე განახორციელებს დემოკრატიულ რეფორმებს, ურომლისოთ აღარ შეიძლება თანამედროვე ისტორიულს ხანაში ცხოვრება. თუ ეს ითქმის პოლონეთზე, მით უმეტეს ჩვენს ქვეყანაზე შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ავტონომია დღეს-დღეობით სამართლიანს წეს-წყობილებას დაამყარებს, დააკმაყოფილებს ერის სამართლიანს მოთხოვნათ და შესაფერისს დაკმაყოფილებას მისცემს ჩვენს ისტორიულს უფლებასაც. ჩვენში უკიდურესი ელემენტებიც კი არ სახავენ თავის რეალურ მისწრაფებად სრულს განცალკევებას, ამავე დროს ყველანი შეუძლებლად სთვლიან დღევანდელ რეჟიმს...

მაგრამ, იმ პოლონელისა არ იყოს, რომლის წერილი ამ დღეებში დაიბეჭდა ყველა რუსულ გაზეთში, საკითხი იმის შესახებ, —ფედერატიული იქნება რუსეთი თუ ცენტრალისტური—გადაწყდება შემდეგში, როცა „ქვეყნის წარმომადგენელნი შეიკრიბებიან იქ, სადაც მათ ნება ექნებათ სახელმწიფო საქმეებზე ლაპარაკისა"; მანამდის კი ყოველი ერი მოვალეა ამისათვის ემზადოს და იმუშაოს. დღევანდელი მთავრობა ვერ გადასწყვეტს ამ მთავარ საკითხს, რადგან ბიუროკრატია არაფერს არ სთმობს და აღარც აქვს შემოქმედებითი სახელმწიფური ძალა...

სულ სხვა საკითხია, როგორ უნდა მოეწყოს განაპირა ქვეყნებში მართვა-გამგეობა იმ დრომდე, სანამ შესაძლებელი გახდება ზემოხსენებული რადიკალური გადაწყვეტა ეროვნულ საკითხისა. რომ დღევანდელ პირობებში ამ საქმის დატოვება ამიერიდან არ შეიძლება, ამას არც ბიუროკრატია ჰფარავს. დღეს მინისტრთა კომიტეტში, სხვათა შორის, იხილავენ საკითხს: 1) როგორ მოეწყოს ადგილობრივი მმართველობა საზოგადოთ რუსეთში და განაპირა ქვეყნებში, 2) „მოსპობილ იქნას გადაჭარბებული შევიწროება (излишнія стѣсненія), რომელიც ხელს უშლის დღეს არა რუსთა ნორმალურს განვითარებას". პირველი საკითხი—ადგილობრივ მმართველობის შესახებ—გამოირკვა კიდეც: უნდა მოხდეს, რამდენადაც დღევანდელ პირობებში შესაძლებელი იქნება, შესუსტება ბიუროკრატიულის ცენტრალიზმისა; ამისათვის უნდა გაუქმდეს გენერალ-გუბერნატორობა თავის განუსაზღვრელის უფლებებით, გაუქმდეს გაძლიერებულ დაცვის წესდებულების არსებობა, სხვა და სხვა ადგილების ნახევრად სამხედრო წესებით მართვა; ხოლო ამის მაგივრად უნდა გაძლიერდეს ადგილობრივი თვითმმართველობა: სოფლის ყველა საქმეები უნდა ჰმართოს უფლება გაფართოვებულმა უწოდებრივო ერობამ, ხოლო პაპირების—უფლება გაფართოვებულმა საერობამ: ამ ადგილობრივ დაწესებულებებში ყველანი თანასწორ მონაწილეობას უნდა იღებდნენ (საყოველთაო საარჩევანო უფლება). ამის მიხედვით ჩვენშიაც უნდა აღიძრას საკითხი მთავარმართებლის თანამდებობის გაუქმების შესახებ. თუ ისეთი თანამდებობა დარჩა, რომელიც განუსაზღვრელის უფლებებით იქმნება აღჭურვილი, ადგილობრივ თვითმართველობის არსებობა შეუძლებელია. როგორც წინა წერილშიაც აღვნიშნეთ, განსაკუთრებულმა ადმინისტრატიულმა წესრიგმა შეაჩერა ჩვენში მოქალაქობრივი განვითარება და იმის მაგიერ თვისნებობა, უკანონობა და ანარხია გაამეფა. ეხლა დრო დადგა სხვა სისტემის გამოცდისათვის და რაც შიდა რუსეთშია განზრახული, ის ჩვენთვისაც უნდა იქმნას შემოღებული, ესე იგი, შეზღუდვა ადმინისტრატიულის პრინციპისა და შესუსტება ბიუროკრატიულის თვისნებობისა და, სამაგიეროდ, გაძლიერება ადგილობრივ თვითმართველობისა. რამდენად უფრო მეტი თავისუფლება მიეცემა ხალხს თავის შინაურ საქმეების მოწყობაში, იმდენად უფრო გაწესრიგდება ცხოვრება. განსაკუთრებულის მმართველობის დატოვება ჩვენში (მთავარ-მართებლის უფლებანი და ნახევრად სამხედრო წესები) შეუძლებლად გახდის იმ წვრიმალ რეფორმების შემოღებასაც-კი, რომელთაც ახლა იხილავს მინისტრთა კომიტეტი, ესე იგი, ადგილობრივ თვითმართველობის გაძლიერება, პრესსის მდგომარეობის შემსუბუქება, კანონიერების დამყარება, მუშათა კანონმდებლობის განვითარება და სხვა.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. თუ ამასთანავე ჩვენი ზოგიერთი ეროვნული მოთხოვნილება, ელემენტარული ეროვნული უფლება არ იქმნა დაკმაყოფილებული, შეუძლებელია ცოტათი მაინც დამშვიდებული ცხოვრება ერისა, იმისი თანდათანი ზრდა და მოქალაქობრივ - კულტურის განვითარება. ეს „ელემენტარული ეროვნული უფლებანი" შეეხებიან უმთავრესად ქართულ ენის როლს მთავრობისა და ადგილობრივ თვითმართველობის დაწესებულებებსა და სკოლაში, ქართველთა ეკკლესიას და სხვა.

ამრიგად ჩვენთვის ირკვევა შემდეგ რეფორმების საჭიროება: მოსპობა განსაკუთრებულ კანონებისა (исключительные законы) და გადაჭარბებულ ადმინისტრატიულ რეჟიმისა; შემოღება უწოდებრივო უფლება გაფართოვებულ ერობისა; გაფართოვება საქალაქო თვითმართველობისა; მოსპობა ბატონ-ყმობის ყოველის ნაშთისა და გაძლიერება სავლეხო მიწათმფლობელობისა; განვითარება მუშათა კანონმდებლობისა; შემოღება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსი და გაუმჯობესება მომრიგებელ იუსტიციისა (მოსამართლეებს ხალხი უნდა ირჩევდეს და სამართალი ქართულ ენაზე უნდა სწარმოებდეს); რეფორმა სწავლა-განათლების სისტემისა იმ პირობით, რომ აღიარებულ იქმნას ქართულ ენის უფლება; მოსპობა ყოველგვარ უსამართლოებისა ქართველთა სარწმუნოებრივ ცხოვრებაში; პრესსის მდგომარეობის შემსუბუქება. ყველა ამ რეფორმას ჩვენ ცალკე განვიხილავთ შემდეგ წერილებში; ახლა-კი ვიტყვით: რუსეთის პრესსა სამართლიანად აღნიშნავს, რომ ყველა აღნიშნულ რეფორმების ნამდვილი განვითარება შესაძლებელია იმ პირობებში, სადაც საზოგადოებრივი ძალები არ არიან გამორიცხული სახელმწიფოებრივ მოღვაწეობისაგან. ამიტომ, ზემოაღნიშნულ ჩვენს საჭიროებათ ემატება კიდევ ერთი: ჩვენზედაც იქმნას გავრცელებული ისეთი რეფორმა, რომლით კანონმდებლობაში მონაწილეობას მიიღებენ საზოგადოებრივი ძალები.

განი.

ცხოვრება და სამართალი

2.

12 დეკემბრის უმაღლესმა მანიფესტმა აღნიშნა აუცილებელი საჭიროება კანონმდებლობის სხვა და სხვა ნაწილებში თვალსაჩინო ცვლილებათა შეტანისა და ამ ნაწილთა შორის პირველი ადგილი დაუთმო კანონიერების პრინციპის დაცვას. უმაღლესის მანიფესტის სიტყვით კანონი უუმნიშვნელესი საფუძველია ტახტისა თვითმპყრობელ სახელმწიფოში და ამიტომ იმისი ძალა სავსებით უნდა იქმნას დაცული. რუსეთის საზოგადოება და ხალხი დიდი ხანია ესწრაფვის იმას, რის საჭიროებაც 12 დეკემბრის მანიფესტში აღნიშნა: კანონი და კანონიერება, კანონიერება და კანონი—ამ ორის სიტყვით შეიძლება გამოიხატოს ის იშვიათი ერთსულოვანი და ერთაზროვანი მისწრაფება, რომელმაც ამ უკანასკნელს ხანებში ისე ძლიერად იჩინა თავი რუსეთის ცხოვრებაში.

კანონიერების პრინციპს ორი მხარე აქვს, რომელთა მნიშვნელობა სახელმწიფოში მყუდროების დამყარებისა და ხალხის წინმსვლელობისთვის განვითარების გზაზედ ერთი მეორეს არ ჩამოუვარდება. უპირველეს ყოვლისა აუცილებლად საჭიროა შეთანხმება კანონისა და ცხოვრების მოთხოვნილებათ და შემდეგ ამგვარის კანონის ძალის დაცვა. კანონიერების პრინციპი არაფერს ხელსაყრელს და სანეტაროს არ წარმოადგენს იმ დრომდე, ვიდრე კანონი მჭიდროდ არ იქნება დაკავშირებული თვით ცხოვრებასთან, და კანონი ქაღალდს ვერ გასცილდება, ვიდრე სახელმწიფოს გამგებლობა ისე არ იქნება მოწყობილი, რომ ყოველი ქვეშევრდომი, ყოველი მოქალაქე უზრუნველ ყოფილი იქმნას თვითნებობისა და უკანონოდ მოქმედებისაგან, ვინც უნდა იყოს ეს უკანონოდ მომქმედი თუნდ კერძო პირი, და თუნდ მართველობის წარმომადგენელი. ერთი მხარე კანონიერების პრინციპისა შეეხება კანონის შინაარსს და მეორე მხარე სახელმწიფო მმართველობის მოწყობას.

შემცდარია ის შეხედულება, ვითომც მორჩილება ხალხისა და საზოგადოებისა მმართველობის წარმომადგენელთა წინაშე დამყარებული იყოს იმ ძლიერებაზე, რომელსაც მმართველობის წარმომადგენელთ შეუძლიანთ მიჰმართონ ყოველ წუთს, როდესაც კი ან ხალხი, ან საზოგადოება, ან კერძო პირი რაიმე ურჩობას განიზრახავს და მორჩილებაზე უარს განაცხადებს. ასეთი შეხედულება, ასეთი აზრი მთავრობისა და ხალხის ურთიერთობის შესახებ დამყარებულია მარტოოდენ საგნის გარეგნობისა და ზედაპირის შეთვისებაზე. საკმაოა გავიხსენოთ, რომ თვით მმართველობა, პოლიცია და ჯარი ხალხის სხვა-და-სხვა წრეებიდან გამოსულ პირებისაგან შესდგება, რომ ჩვენთვის აშკარად შეიქნეს სიყალბე იმ ძალმომრეობის თეორიისა, რომელიც სახელმწიფოში მორჩილების საფუძვლად ფიზიკურს ძალას და შიშსა სთვლის. ეჭვს გარეშეა, სახელმწიფოს ცხოვრებაში ბევრი ისეთი შემთხვევაა, როდესაც კანონის დაცვა ან აღსრულება და მორჩილება მმართველობის წინაშე მართლა ძალაზეა დამყარებული, მაგრამ ასეთი შემთხვევები ანომალიას წარმოადგენენ და იმათ ისე უნდა შევხედოთ, როგორც საზოგადოებრივს ანუ სოციალურს ავადმყოფობას. ვინმე ავაზაკი, მაგალითად, კაცის მკვლელი, რომელიც სცდილობს სამართალს თავი დააღწიოს და კანონს გაექცეს, უეჭველია მხოლოდ იმიტომ დაჰნებდება მმართველობის წარმომადგენელს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ფიზიკურის ძალით იქმნება დამორჩილებული, მაგრამ აქ ჩვენ ავაზაკთან, კაცის მკვლელთან გვაქვს საქმე და არა ისეთს მოქალაქესთან, რომელიც ნორმალურად სცხოვრობს და მშვიდობიანის შრომით ჰსურს თავისი თავის რჩენა და განვითარება. სახელმწიფო და სახელმწიფოებრივი ცხოვრება ხელოვნური დაწესებულება არ არის და ამიტომ სახელმწიფო ჩვეულებრივ არც ჰსაჭიროებს ხელოვნურს საშუალებებს მორჩილების გრძნობის გასაღვიძებლად; პირიქით, ყოველი ქვეშევრდომი სახელმწიფოს წინაშე მორჩილების საჭიროებას ისევე ბუნებრივად ჰგრძნობს, როგორც ორგანიულ ცხოვრებისთვის ჰაერის საჭიროებას. არავინ არა ფიქრობს იმაზე, რომ ჰაერით სუნთქვა საჭიროა სხეულში სისხლის ასამოძრავებლად, ადამიანი უფიქრელად და ინსტიქტიურად ჰსუნთქავს. სახელმწიფოს წინაშე მორჩილებასაც სწორედ ამგვარივე ინსტიქტიური ხასიათი აქვს, იგი დამყარებულია ზნეობითს ინსტინქტებზე და არა შიშზე ფიზიკურის ძალის წინაშე.

მორჩილება სახელმწიფო მმართველობის წარმომადგენელთა წინაშე დამყარებულია ზნეობითს თვისებებზე და ამიტომ იგი არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც უცვლელი რამ ნივთიერება და ისეთი მკვიდრი რამ ბუნების კანონი, რომელიც ყოველგან და ყოველთვის ერთისა და იმავე ძლიერებით ჰმოქმედებს. პირიქით, სწორედ იმიტომ რომ იგი ზნეობითს საფუძველზეა დამყარებული, უნდა ვიგულისხმოთ, რომ იმისი არსებობა შესაძლოა მხოლოდ იმ დრომდე, ვიდრე სახელმწიფოს მმართველთაგან გამოცემული და დამტკიცებული კანონები არ ეწინააღმდეგებიან ხალხის ზნეობით წარმოდგენებს და შეთანხმებულ არიან ცხოვრების მოთხოვნასთან.

როდესაც კანონი თავისის შინაარსით არ შეესაბამება ცხოვრებას და საზოგადოებაში დამკვიდრებულს ზნეობითს წარმოდგენებს, მაშინ აუცილებლად სჩნდება განხეთქილება სახელმწიფოს მმართველთა და ქვეშევრდომთა შორის, აუცილებლად იბადება მათ შორის უნდობლობა, ბუნებრივად ჰქრება ქვეშევრდომთა გულში გრძნობა მორჩილებისა და იმის შემდეგ სახელმწიფოში მყუდროება და წესიერება აღარ შეიძლება მმართველობამ იმ ზნეობრივ ძალთა მეოხებით დაიცვას, როგორც ამ დრომდე. ამ პირობებში ან კანონის შინაარსი უნდა შეიცვალოს დაუყოვნებლივ, რომ აღდგენილ იქმნას სახელმწიფოს ნორმალურ ცხოვრებისათვის აუცილებლად საჭირო გრძნობა მორჩილებისა, ან მთავრობამ ფიზიკურს ძალას და პოლიციურს ზომებს უნდა მიჰმართოს. კერძო ადამიანის ცხოვრებაც კი იმდენად რთულია და მრავალ-ფეროვანი, რომ იგი არ შეიძლება სწორის გეომეტრიულის ხაზებით იქმნას ნავ[illegible]ოდვი, მით უმეტეს შეუძლებელია მათ[illegible] მოიანგარიშოს კაცმა, რამდენს ხანს შეიძლება გასტანოს სახელმწიფოში მყუდროებამ და სიწყნარემ მთავრობის [illegible] შემოღებულ საპოლიციო ზომების საშუალებით. ეს დამოკიდებულია ხალხის კულტურულ განვითარების სიმაღლისაგან, ზნეობითის გრძნობის სიფაქიზისაგან და ტემპერამენტის სიცოცხლისა და სიმტკიცისაგან. დაუჯერებელი არ არის და ნამდვილადაც ყოფილა ისტორიაში ისეთი მაგალითები, რომ მთავრობას ენერგიულ საპოლიციო ზომების მეოხებით მთელი საუკუნე დაუცავს სახელმწიფოში ისეთი კანონები, რომელნიც პირდაპირ ეწინააღმდეგებოდნენ ცხოვრების მოთხოვნებს. ხშირად საპოლიციო ღონისძიებანი დიდის ხნით აჩერებენ ხალხის მოძრაობას და ისეთს თავზარსა სცემენ ყველას, ვინც კი კანონების შესახებ ხმის ამოღებას გაჰბედავს, რომ გარეშე მაყურებელს ეგონება, ქვეყანა ბედნიერია და კმაყოფილიო, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგანი ზეწარია, რომელიც მთავრობისაგან ჰფარავს ცხოვრების სიღრმეში დანამზადევს ახალს აზრს და ახალს მიმართულებას. რაც უფრო სქლადა აქვს გადაფარებული პოლიციური ზომები ახალის ცხოვრების მოთხოვნას, მით უფრო მეტს ძალას იგროვებს ახალი მიმართულება და მით უფრო მეტის ძლიერებით იფეთქებს თავის დროს ვულკანი ახალის გზის გასატანად.

უწინ, როდესაც საზოგადოებრივი და სოციალური ურთიერთობანი პატრიარქალურად ეწყობოდნენ, სახელმწიფოს ცხოვრებაც ერთფეროვნად და ერთგვარად მიმდინარეობდა. ეკონომიურმა პროგრესსმა დაარღვია კულანდელი კარჩაკეტილობა, თანდათან გაზაფხულის თოვლივით დადნა ძველის ურთიერთობის ფორმები და მათი ადგილი დაჭირა ახალმა და ათასწილ, წინანდელთან შედარებით, რთულმა და მრავალფეროვანმა კაპიტალისტურმა განწყობილებამ. თუ უწინ კანონის შინაარსი ადვილად მისაგნები და საპოვნელი იყო, რადგანაც იგი ხალხის ჩვეულებას წარმოადგენდა და მემკვიდრეობით გადადიოდა ერთი თაობიდან მეორე თაობაზე უცვლელად და ხელშეუხებლად, ახალმა ცხოვრებამ თავის მოძრავის ხასიათით დაანახვა ქვეყანას, რომ ეხლა სახელმწიფოს მზრუნველობის მთავარს საგანს უნდა შეადგენდეს სწორედ ახალის კანონების შემოღება და მათი შეთანხმება ცხოვრების საჭიროებებთან, რომელნიც კაპიტალისტურ წყობილების მეოხებით დღე-მუდამ ახლდებიან და ახალ-ახალის ფორმებით სჩნდებიან. ამ პირობებში ეკონომიურ ცხოვრების პროგრესსმა აუცილებელს საჭიროებად გახადა სახელმწიფოში საკანონმდებლო მოღვაწეობის ახალი ორგანიზაცია და დასავლეთ ევროპაში მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში დაწყებული მოძრაობა იმ დრომდე არ დაცხრა, ვიდრე ეს დიადი საქმე არ შესრულდა.

კანონიერების პრინციპის ერთი მხარე—თანხმობა კანონისა და ცხოვრების მოთხოვნისა და საჭიროებისა—შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც საზოგადოებასა და მმართველობას შუა უნდობლობა მოისპობა და იმის ადგილს დაიჭერს ნდობა. მრავალფეროვნება თანამედროვე სოციალურის და ეკონომიურის ცხოვრებისა ქვეყნის ნამდვილ საჭიროების გამოცნობას შეუძლებლად ჰხდის იმათთვის, ვინც მუდამ კანცელარიის ოთხ კედელ შუაა მომწყვდეული და თვითონ ცხოვრების გარეშე მდგომი მხოლოდ შორიდან უცქერის იმას. ბიუროკრატია შესაძლოა საუცხოვო აღმსრულებელი იყოს კანონისა, მაგრამ არ-კი შეეძლოს ხალხის საჭიროების შეგნება და მათი ჯეროვანი გათვალისწინება. ხალხმა და საზოგადოებამ თავისი საჭიროება, თავისი გულისტკივილი თითონვე უნდა ამცნოს ქვეყანას, თითონვე უნდა გამოააშკარაოს, უამისოდ მმართველობის წინაშე თვალ განუჭვრეტელი კედელია აშართული, რომელიც ჰფარავს მთავრობისაგან ხალხის ინტერესებს და ხალხისაგან მთავრობას. ადვილი გასაგებია ამიტომ, რისთვის ეღაფრთოვანა ასე ძლიერ და ასე საყოველთაოდ მთელი რუსეთი მინისტრის თავ. სვიატოპოლკ-მირსკის სიტყვებმა ნდობის შესახებ. ის ნდობა, რომელსაც მინისტრი თხოულობს, პირველი ნაბიჯია კანონიერებისკენ მიმავალის გზისა, და სწორედ ამიტომ დაადგა ასეთის სიმტკიცით და ერთსულოვნებით ამ გზას მთელი რუსეთი.

გ. რ.

ახალი ამბავი

✦ როგორც გავიგეთ, კავკასიის მთავარმართებლის კანცელარია ამ ჟამად ადგენს ვრცელს მოხსენებას **ქუთაისის გუბერნიის გლეხობის** ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ.

✦ **გენერალ კოვალევისა და ექიმ ზაბუსოვის საქმემ** მთელის რუსეთის ყურადღება მიიქცია. ყველა მხრიდან თანაგრძნობას უცხადებენ უსამართლოდ დასჯილს ექიმს. არ დარჩენილა რუსეთში ისეთი სამკურნალო საზოგადოება, რომელსაც [illegible]გრძნობის წერილი არ გაეგზავნოს.

მოაგონდა ეს მხოლოდ ტფილისის სამკურნალო საზოგადოებას, თუმცა პირველად ექიმ ზაზუნოვის საქმე ტფილისში გაირჩა და იმას უნდა მიექცია ყველაზე ადრე ყურადღება. დღეს კრებაა სამკურნალო საზოგადოებისა და იქნება ეხლა მაინც გაიხსენონ.

◆ 16 იანვარს, თავ. ვ. მიქელაძის თავმჯდომარეობით მოხდა **ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების** კრების გაგრძელება. დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე კრება მოუნდა გამგეობის წევრთა თანამდებობაზე კანდიდატთა დასახელებას. კრებამ დაასახელა 16 კაცი და უნდა შესდგომოდა არჩევანს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ კენჭის საყრელად საკმაო ყუთები არ იყო, ბარათებით არჩევა კრებამ უხერხულად სცნო. თავმჯდომარემ მდივანს უსაყვედურა, ყუთების მოსატანად განკარგულება უნდა მოგეხდინათო, მდივანმა თავმჯდომარეს—არა, ეს თქვენი საქმე იყოო. ასე თუ ისე თავმჯდომარემ კრება მესამედ გადასდო 23 იანვრისათვის.

◆ „ოდ. ლ.“-ი შემდეგ **საყურადღებო ამბავს** გადმოგვცემს: „8 იანვარს ოდესაში რუსის სანაოსნო და სავაჭრო სააგენტოში მიიტანეს სოხუმსა და ბათუმში გასაგზავნად შვიდი დიდი ყუთი და ერთი ბოჭკა. მიმღებს ძალიან ემძიმა ყუთები და საეჭვოდ ჩასთვალა. პოლიციის თანადასწრებით გახსნეს ერთი ყუთი და შიგ აღმოჩნდა რევოლვერების სასროლი პატრონები და ოთხი დიდი რევოლვერი. სხვა ყუთებსა და ბოჭკაშიც სასროლი მასალა აღმოჩნდა. ამ საქონლის გამგზავნი, ვიღაც ვინტერგალემი, დააპატიმრეს. აღმოაჩინეს მთელი ორგანიზაცია“.

◆ კავკასიის სამხედრო საინჟინერო დისტანციის განკარგულებით, **თოფის წამლის საწყობის** მახლობლად 200 ნაბიჯის მანძილზე არ შეიძლება სახლების აგება. ამ საწყობების მახლობლად მდებარე ადგილებით სარგებლობა შეუძლებელი ხდება, რის გამო ამ რამდენისამე ხნის წინად ამის შესახებ მიწერ-მოწერა გაიმართა ტფილისის ქალაქის გამგეობასა და საინჟინერო დისტანციას შორის. ამის შესახებ საქმე ქალაქის გამგეობამ განიხილა 15 იანვარს და გადასწყვიტა, შუამდგომლობა აღძრას სათანადო მთავრობის წინაშე თოფის წამლის საწყობები გადატანილ იქნას ქალაქის საზღვრის გარეთ.

◆ 15 იანვარს, შუადღის პირველ საათზე, ბალაჯარ-ბაქოსკენ ისევ ამოვარდა **ქარ-ბუქი და წამოვიდა თოვლი**. ბალაჯარასა და ბაქოს შუა, სადგურ ხვალინსკას მახლობლად, გაჩერდა სახალხო მატარებელი № 4. 16 იანვარს, საღამოს 5 საათისთვის გზა გაიხსნა, მაგრამ მერე ისევ შეიკრა.

◆ რადგან ბაქოსა და ტფილისს შუა გზა შეიკრა, ტფილისში **ნავთი გაძვირდა**. გუშინ ქალაქის მოურავმა სთხოვა რკინის გზის უფროსს, დაუთმოს 100—150 ფუთი ნავთი.

◆ ამიერ-კავკასიის **რკინის გზას ქარბუქმა** დიდი ზარალი მიაყენა. 11 იანვარს შემდეგ არც ერთი საქონლის მატარებელი არ გასულა არც ბაქოდან და არც ტფილისიდან. დღიური შემოსავალი რკინის გზისა, ხარჯ გარდა, სამოცი ათასი მანეთია. ეხლა-კი ამ ქარ-ბუქის გამო არავითარი მოგება არა აქვს.

◆ კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიამ საერობო თანხიდან გადასდო 7000 მან. **ამერიკულ ბამბის თესლის** შესაძენად და კავკასიის მებამბეთა შორის გასავრცელებლად.

◆ მკითხველებს ეხსომებათ **მიწერ-მოწერა** ტფილისის ქალაქის გამგეობასა და სახალხო სკოლების დირექტორს შორის. რადგან ქალაქს დირექტორთან არა ერთხელ მოსვლია შეტაკება, ქალაქის მოურავს მოხსენება შეაქვს საბჭოში. მოურავი თხოულობს, მადლობა გამოეცხადოს იმათ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს მოსწავლეებისათვის სადღესასწაულო გასართობის გამართვაში და აგრეთვე შუამდგომლობა აღიძრას უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ ის სკოლები, რომელნიც ინახება ქალაქის ხარჯით, სავსებით გადაეცეს ქალაქის თვით-მმართველობას.

◆ 17 იანვრის სხდომაზე **ტფილისის ქალაქის საბჭომ** გამგეობის წევრად 48 ხმითა წინაამდეგ 14 ხმისა ამოარჩია ისევ ტ. ა. ენფიანჯიანცი.

◆ 15 იანვარს, ადელხანოვის სააქციონერო საზოგადოების კასირს ფირადოვს საზოგადოების ქარხანაში მიჰქონდა 1200 მან. ვორონცოვის ქუჩაზე ფირადოვს **თავს დაეცა** ორი უცნობი კაცი. ერთმა ორჯელ დაახალა რევოლვერი და დასჭრა იგი ხელში, მაგრამ ფული მაინც ვერ წაიღეს. უცნობნი გაიქცნენ. ერთი დაიმალა, ხოლო მეორე დააპატიმრეს; იგი აღმოჩნდა ოზურგეთის მაზრის მცხოვრები დავით წულაძე. როგორც პოლიციის ცნობებიდან სჩანს, წულაძეს თავის ამხანაგად დაუსახელებია პლატონ გოთუა.

◆ გზათა მინისტრის ბრძანებით, ალმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე ამიერ-კავკასიის გზიდან უნდა გაიგზავნოს **თხუთმეტი ტელეგრაფისტი**. ხუთმა ამათგანმა უნდა ეცოდეს სადგურის თანაშემწის სამსახურიც. ჯამაგირი თითოს ექნება წელიწადში 600—900 მანეთი. იქვე იგზავნება ამიერ-კავკასიის გზიდან ექვსი მემანქანე და შვიდი მემანქნის თანაშემწე.

◆ ზოგიერთ სასულიერო სასწავლებლების მთავრობამ შუამდგომლობა აღძრა უწმ. სინოდის წინაშე, რომ სასულიერო სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულნი, რომელნიც სასულიერო სემინარიაში შესასვლელ ეგზამენების დროს მხოლოდ ერთ რომელსამე საგანში მიიღებენ ცუდ ნიშანს, მიღებულ იქმნან სასულიერო სემინარიაში. უწმ. სინოდმა განმარტა სასულიერო სასწავლებელთა საყურადღებოდ შემდეგი: თუ სასულიერო სასწავლებლებში კურს დამთავრებულთა მოწმობის ნიშანი ეგზამენებზე მიღებულ ნიშანისაგან ძლიერ განსხვავდება, მაგალითად, ატესტატში 3 აქვს და ეგზამენებზე 1 მიიღო, მაშინ მოსწავლე არ მიიღება, მაგრამ თუ ატესტატში 3 აქვს და სემინარიაში შესვლის დროს 2 მიიღო, მაშინ მიიღონ.

◆ 16 იანვარს, ღამე, კახეთის მოედანზე პოლიციელებმა შენიშნეს ორი უცნობი, ნაბადში გახვეული კაცი, რომელთაც ტომარში ჩადეთ სამი საღდაც მოპარული თოფი, ამოეფარებიათ ნაბადში და მიჰქონდათ. ერთი გაიქცა, ხოლო მეორე დააპატიმრეს. დაჭერილი აღმოჩნდა ყაზახის მაზრის მცხოვრები ხერო ანანოვი; პოლიციას ანანოვმა თავის ამხანაგიც დაუსახელა, ერევნის გუბერნიის მცხოვრები ზალინოვი.

◆ 15 იანვარს, დილის 4 საათზედ, მარინეს ქუჩაზედ, ავლაბარში, ცეცხლი გაუჩნდა ელისაბედ ასატუროვის სახლს. ცეცხლის გაჩენა მალე შეიტყეს და ჩააქრეს.

◆ სად. ხაშური. 15 იანვარს, ღამის 12 საათზედ, როდესაც კაჩეგარი ეფრემ ნაკაშვილი ორთქლ-მავალს აბამდა, მოჰყვა ბუფერებს შუა და ძალიან დაშავდა.

შემდეგ ნომრიდან ჩვენის გაზეთის ფურცლებზე შევუდგებით **რუსთა ცნობილ მწერლის ლეონიდ ანდრეევის** ახალ მოთხრობის ბეჭდვას. ეს მოთხრობა ჯერ რუსულადაც არ დაბეჭდილა და რედაქციის თხოვნით გადმოთარგმნილია ხელთნაწერიდან. მოთხრობას სახელად „წითელი სიცილი“ ჰქვიან.

რუსეთის ქრონიკა

უწესოება ნიჟნი-ნოვგოროდში. როგორც ჩვენმა მკითხველმა იცის, 29 დეკემბერს ნიჟნი-ნოვგოროდის სახალხო სახლში პოლიციამ საშინლად დაარბია იქ შეკრებილი მაყურებელი საზოგადოება. ამის გამო ადგილობრივმა მცხოვრებლებმა შემდეგი განცხადება შეიტანეს საგუბერნიო საერობო კრებაში:

„29 დეკემბერს სახალხო სახლში გამართულ საღამოზე, საღამოს 11 საათზე, 10 პოლიციელი შემოვარდა დარბაზში და სიტყვის უთქმელად ხმალ-ამოღებულნი მისცვივდნენ საზოგადოებას. მაყურებლებ შორის ბევრი იყო ქალი, მოსწავლე და ბავშვი. სცემდნენ ყველას განურჩევლად, სცემდნენ წაქცეულებს, გულშეწუხებულ ქალებს. პროტესტი გამოუცხადეს პოლიცმეისტრის თანაშემწეს, რომელიც ამ ცემა-ტყეპის ხელმძღვანელი იყო, მაგრამ ამას ყურადღებაც არ მიუქცევია. მაყურებლებ შორის ბევრი აღმოჩნდა ნაცემი, დაჭრილი და დასახიჩრებული. პოლიციის ასეთ მოქმედებას მიზნად არ ჰქონია ხალხის დარბაზიდან განდევნა; არა, პოლიციამ განზრახვით მოაწყო ეს ცემა-ტყეპა, რაც, სხვათა შორის, იქიდანაც სჩანს, რომ ხალხს ქუჩაშიაც სცემდნენ... ჩვენ ქვემორე ხელის მომწერელნი ვატყობინებთ საგუბერნიო ერობას ჩვენს პროტესტს პოლიციის მხეცურ თვითნებობის გამო რუსის მოქალაქის მიმართ“.

პოლიციელებს სარდლობდა პოლიცმეისტრის თანაშემწე იგნატიევი. საზოგადოებაზე იერიშის მიტანის საზოგადო გეგმა იგნატიევმა შეიმუშავა მეორე თანაშემწესთან ერთად. ბრალი უმთავრესად ედება იგნატიევს, რომლის განკარგულებითაც ხმლები დაუშინეს ხალხს. კომერციულ კლუბის წევრები თხოულობენ გამგეობისაგან, რომ იგნატიევი გამოირიცხოს კლუბის წევრების სიიდან ისეთ ქცევისათვის, რომელიც არ ეკადრება არც კლუბის წევრსა და არც საზოგადო ადამიანს. გარდა ამისა საზოგადოების უმრავლესობამ დაადგინა ხელი აღარ მისცენ იგნატიევს. (რ. ვ.).

მასწავლებელთა საზოგადოება კალუგაში სამ იანვარს კალუგაში შესდგა სახალხო სკოლის მასწავლებელთა საზოგადოების წევრთა კრება. კრებას დიდძალი ხალხი დაესწრო. დამსწრე საზოგადოებამ მოისმინა მეტად საინტერესო მოხსენებანი მასწავლებლის მატერიალურ და უფლებრივ მდგომარეობაზე და მიიღო რეზოლიუცია, რომ აუცილებელია საერთო ხასიათის რეფორმაო: უამისოდ ყოვლად წარმოუდგენელია მასწავლებლის მატერიალურ და უფლებრივ მდგომარეობის გაუმჯობესება და ნორმალური მსვლელობა მასწავლებელთა საზოგადოების მოქმედებისა. გამგეობის მიერ წარმოდგენილი ანგარიში სავსეა ფაქტებით, რომელიც ცხადად ამტკიცებს, რომ ადმინისტრაცია ხელს უ[illegible] და საზოგადოებას ყოველ საქმეში. რეზოლიუცია დეპეშით გაეგზავნა შინაგან საქმეთა მინისტრს. (რ. ვ.).

მასკარადი სტავროპოლში. 4 იანვარს კომერციულ კლუბის სადგომში გაიმართა მასკარადი. კოსტიუმები მეტად ორიგინალური და აზრიანი თურმე ყოფილა.

ქალების ტანისამოსიდან საზოგადოებას საგანგებოდ მოსწონებია მშვიდობიანობის ანგელოზი—თეთრი ტანისამოსი, თეთრის ფრთებით, ხელში და თავზე მირტის შტოები; გულზე ეწერა—მშვიდობა ქვეყანასა ზედა და კაცთა შორის სათნოება; ლენტებზე ეწერა: ერთზე—ხალხთა შორის ძმობა; საყოველთაო მშვიდობიანობა; საყოველთაო იარაღის აყრა; (გაუმარჯოს ძმობას); მართლმსაჯულება, სახალხო წარმომადგენლობა; (გაუმარჯოს თანასწორობას); მეორე ლენტზე—თავისუფლება სიტყვისა, მწერლობისა, სინდისისა, გაფიცვისა, კავშირისა; (გაუმარჯოს თავისუფლებას). მეორე მასკა პრესის წარმომადგენელი იყო: ქალი, თავზე ეკლის გვირგვინი და წარწერა „გაზაფხული“, კისერი ლენტებ შემოხვეული ჰქონდა წარწერით „პრესსა“, კისერზე მარყუჟი იყო გაკეთებული და ზედ „ცენზურა ეწერა. ზურგსა და გულზე ორი მუშტი: ერთი—„ნდობის“ ზემოთ, ერთიც—„სინ ოტეჩესტვა“-ს ზემოთ; სხვა ლენტებზე იყო წარწერილი ყველა იმ გაზეთების სახელები, რომელნიც „გაზაფხულის“ შემდეგ დაისაჯნენ.

სამწუხაროდ, დასძენს „სევერნი კრაი“, სამწუხაროდ გათავდა—საქმეში ჩაერია პოლიცია, რომელმაც საშიშ საქმედ ჩასთვალა ასეთი მასკარადი. („რ. ს.“).

ტომსკის სამასწავლებლო ინსტიტუტი. „რ. ვ.“ სწერს: ტომსკის სამასწავლებლო ინსტიტუტის დახურვის საქმე, რომელიც ეხლა საერო განათლების სამინისტროშია, საკმაოდ გამოირკვა. დახურვის მიზეზი „ნედორაზუმენიე“ ყოფილა, როგორც ოფიციალურად ამბობენ ხოლმე. სამინისტროს სრულიადაც არ ჰქონია აზრად ინსტიტუტის დახურვა. ინიციატივა ადგილობრივ უფროსებისა ყოფილა. დამახასიათებელია თვით მინისტრის სიტყვები—„ყველაფერში უფროსებია დამნაშავე“-ო.

სიმფეროპოლის საგუბერნიო საკრებულო. როგორც „ოდესკია ნოვოსტი“ იტყობინება, საგუბერნიო საკრებულომ აუცილებელ საჭიროებად იცნო, რომ დამშეულ ხალხის გამოკვების საქმე ისევ საერობო დაწესებულებათ უნდა გადაეცესო. საინტერესოა მოტივები საკრებულოსი—„ადმინისტრატიულ დაწესებულებათ, რომელთაც კავშირი არა აქვთ მცხოვრებლებთან და რომელნიც არ ექვემდებარებიან საზოგადოების კანტროლს, არა აქვთ საკმაო ღონისძიება შეასრულონ ეს ფუნქცია. ამიტომ საკრებულო იმ აზრისაა, რომ აუცილებლად საჭიროა ხალხის გამოკვების საქმის გადაცემა ერობისათვის, ე. ი. ისეთ ორგანოსათვის, რომელიც მოწოდებულია დააკმაყოფილოს ადგილობრივი საჭიროებანი.

საერობო კრებებზე. 4 იანვარს გაიხსნა კურსკის საგუბერნიო ერობის კრება. გაიხსნა თუ არა კრება, იმ წამსვე გამგეობის თავმჯდომარემ ნ. ვ. რაევსკიმ, აღნიშნა რა რუსეთის გაჭირვებული მდგომარეობა შინ და გარეთ, გუბერნიის კრების ყურადღება მიაქცია სასიხარულო მოვლენას—მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადებას და აგრეთვე განვლილ წლის 12 დეკემბრის უმაღლეს ბრძანებას. ნ. ვ. რაევსკიმ ბოლოს შემდეგი წინადადება მისცა საერობო კრებას:

1) მიულოცოს ხელმწიფე იმპერატორს და დედოფალს. 2) აღნიშნოს მემკვიდრის დაბადების დღე რაიმე საზოგადო სასარგებლო საქმით. 3) ხმა მისცენ, მხარი დაუჭირონ ხელმწიფის მოწოდებას ჩვენი სამშობლოს განახლების და აღორძინების საქმეში. 4) ის კითხვა, თუ რა ფორმით უნდა გამოითქვას ყველა ეს წინადადებანი, ცალკე კომისიას მიენდოს. ნ. ვ. რაევსკის წინადადებანი მიღებულ იქმნენ და კომისიას გადასცეს. ამ კომისიას, რომელიც შესდგება ყველა ხმოსანთაგან, პირველი კრება 5 იანვარს საღამოთი ჰქონდა. როცა კითხვა ჩამოვარდა ადრესის შედგენის შესახებ, ადრესის რედაქციამ კრება ორ ბანაკად გაჰყო (34 და 25). 6 იანვარს ორივე ბანაკის მხრით წარდგენილ იქმნენ ერობის კრებაში ადრესის პროექტები. კრების თავმჯდომარემ ნ. ნ. ბოლდანოვმა მიიღო ადრესის პროექტები და ხმოსნებს კამათის ნება არ დართო. დაუფარავ კენჭის ყრით კრებამ ხმის უმეტესობით 38-ით წინაამდეგ 23-სა მოიწონა პროექტი კონსერვატორთა ბანაკის მიერ შედგენილი. ხმოსნის ა. ნ. ფონ-რუტცენის ინიციატივით უმცირესმა (23) ბანაკმა უარ-ჰყო კრების მიერ მიღებული ადრესი და არ მოაწერა ხელი. ა. ნ. ფონ-რუტცენის განცხადებას მრავალ-რიცხოვანი საზოგადოება ალტაცებულ ტაშის-კვრით მიეგება. კრების თავმჯდომარემ სთხოვა საზოგადოებას კრების დარბაზიდან გასულიყო, და, როდესაც აღმოჩნდა, რომ ერთმა [illegible] საზოგადოებისამ ყურადღება არც [illegible] თხოვნას, მაშინ თავმჯდომარემ [illegible] სხდომას სამი საათით შეწყვეტა. მა[illegible] კრება შესდგა. სამი დღის განმავლობაში (4-ს, 5-ს და 6-ს) საგუბერნიო საერობო კრებამ მოასწრო მხოლოდ ექვსი მოხსენების განხილვა. 5 იანვრის სხდომა თითქმის სულ მთლად ერთს საკითხს მოუნდა—„მესამე ელემენტის“ წარმომადგენელთ გადამწყვეტის ხმის უფლება მიეცეთ საერობო სათათბირო კომისიებში, მეტადრე სკოლის საქმის და ეკონომიურ საკითხის დროსაო. ცხარე კამათის შემდეგ, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა 12 ხმოსანი, დახურულ კენჭის ყრით ეს საკითხი იმით გადაწყდა, რომ კრებამ დაადგინა: არ მიეცეს „მესამე ელემენტს“ გადამწყვეტი ხმა ხსენებულ კომისიებშიო. ეს დადგენილება მიღებულ იქმნა უმეტეს 34-ს ხმით წინაამდეგ 25-სა.

პრესსა

პეტერბურგის ამბების გამო „რუსკია ვედომოსტ“-ში მეთაურია მოთავსებული: 9 იანვარს მომხდარი მოძრაობა მუშებისა რუსეთისათვის უმაგალითოა როგორც სიდიდით, ისე წინააღმდეგობის გაწევის სიძლიერითო... 9 იანვრის ტრაგედია არის ერთი მოვლენათაგანი იმ საზოგადო მოძრაობისა, რომელიც მთელ რუსეთს მოედო, და ამიტომ ცალკე მისი განხილვა შეუძლებელ არისო.

პეტერბურგისებურ მოძრაობის ჩაქრობა შეიძლება იარაღით, სისხლის ღვრით; მაგრამ ვერავითარი ძალა ვერ მოსპობს მოძრაობის გონებრივს, მომწიფებულ საჭიროებათა შეგნებას, თავისუფლებისა და მტკიცე უფლებრივ წესწყობილებისადმი მისწრაფებას. ასეთ მოძრაობის დაწყნარება, მშვიდობიანად დამთავრება შეიძლება მხოლოდ ერთის გზით და ეს გზა ხალხის მომწიფებულ საჭიროებათა დაკმაყოფილებაა. მაგრამ ვის შეუძლია გამოარკვიოს ეს საჭიროებანი და გამოჰნახოს ნამდვილი ღონისძიებანი მათის დაკმაყოფილებისა, თუ არ თვითონ ხალხს თავის კანონიერ რწმუნებულების საშუალებით? ამ კრიტიკულ მომენტის დროს ყველა, ვისთვისაც კი ძვირფასია ხალხის ინტერესები, ვინც გულწრფელად აფასებს წესიერებას, ღრმად არის დარწმუნებული, რომ თანამედროვე ცხოვრების უდიდეს საკითხების გადასაწყვეტად აუცილებლად საჭიროა ხალხის წარმომადგენელთა მოწვევა.

**

„მოგზაურ“-ი, ყოვლად უშინაარსო და უმიმართულებო თვიური ჟურნალი, გადაკეთდა საკვირაო გაზეთად და 16 იანვრიდან გამოდის სრულიად ახალის რედაქციით. ის ჯგუფი მწერლებისა, რომელიც დღეს სათავეში უდგია განახლებულ „მოგზაურს“, ერთი წელიწადია მოკლებული იყო საკუთარ ორგანოს და ფრიად სასიამოვნო ფაქტად უნდა ჩაითვალოს, რომ ქართულ ჟურნალ-გაზეთობას ისევ გაუჩნდა თანამიმძე გარკვეულის მიმართულებისა, და მერე ისეთ დროს, როცა ასე საჭიროა ხმა მაღალი და გაბედული ღაღადი ხალხის ინტერესების დასაცავად.

ვუსურვებთ განახლებულ „მოგზაურს“ უფრო ხანგრძლივსა და ნაყოფიერ მოღვაწეობას განახლებულ პირობებში.

საზღვარ-გარედ

გერმანია. ამს წინად გაზეთებმა ამბავი მოგვიტანეს გერმანიაში, რეინლანდში, მღვიმე-მაღაროების მუშების დიდი გაფიცვის შესახებ. მუშებმა, როგორც იუწყება გაზ. „ნ. ფ.“-ის კორესპონდენტი, ცამეტ მუხლად აღნიშნეს და წარმოადგინეს თავისი მოთხოვნილებანი. მღვიმე მაღაროებში მუშაობა 9 საათზედ მეტი არ უნდა სწარმოებდეს. 1906 წლის პირველ იანვრიდან ეს დრო $8^{1}/_{2}$ საათამდის უნდა შემცირდეს, 1907 წლის პირველ იანვრიდან კი 8 საათამდის. სამუშაოდ დანიშნულ დროს გარეშე მხოლოდ მაშინ შეუძლიათ მეპატრონეთ გაიწვიონ მუშები, როცა ხიფათისაგან უნდა გადაარჩინონ ვინმე ან მღვიმე-მაღაროები უეცრად იმდენად დაზიანდება, რომ დაუყოვნებლივ შეკეთება დასჭირდება. უმცირესი ქირა მუშებისათვის დღეში $1^{1}/_{2}$—$2^{1}/_{2}$ მანეთამდის უნდა იქნას, ბავშვებისათვის კი დღეში 75 კაპ. მუშებისა და მეპატრონეებს შორის უთანხმოებათა განსახილველად და მოლაპარაკების გასამართავად უნდა დაარსებულ იქნას მუშათა მუდმივი კომიტეტი, რომელსაც უფლება მიეცემა თვალყური ადევნოს მღვიმე-მაღაროებში მუშაობის პირობებს.

ამ ბოლო დროს გერმანიის მთავრობა ცოტა არ იყოს შეაწუხა მუშათა გაფიცვამ. მან ყურადღება მიაქცია გაფიცვას და თავისი აგენტების მეოხებით ცნობების შეკრებას შეუდგა. ერთობ გვიან შეუდგა მთავრობა საქმის გამოძიებას, არავითარი შუამდგომლობა არ გაუწევია მუშათ და მეპატრონეთა შორის. არ უცდია, დაეყოლიებია მეპატრონეები, რათა აესრულებიათ 1889 წელს მოცემული პირობა.

მღვიმე მაღაროების მეპატრონეები შეიკრიბნენ, თათბირი ჰქონდათ მუშათა გაფიცვის შესახებ და გამოუცხადეს მუშებს, ვერ მივიღებთ თქვენ პირობებს, რადგან სამუშაო დროს შემცირება და ქირის მომატება დასცემს ჩვენ მრეწველობას, მეტოქეობას ვეღარ გავუწევთ საფრანგეთსა და ბელგიასაო. სამუშაოებზე თვალყურის სადევნელად მუშათა კომიტეტის დაარსებაზედაც მეპატრონეებმა გადაჭრით უარი სთქვეს. თქვენი მოთხოვნილებანი კარგა ხანია ვიცით, უკვე 1890 წელს უარვყავით სა[illegible] გაფიცვის მომხდარ დროსაო. მიზეზ-მიზეზდოს მარილი აკლიათ: შემდეგ [illegible] მოიყვანეს მეპატრონეებმა. სამუშაო [illegible] შევამციროთ და მუშათა რიცხვს მოვუმატოთ, ბევრი ახალი მუშა უნდა მოვიწვიოთ, რომელნიც მღვიმე-მაღაროების სამუშაოში გამოცდილნი არ არიან, ამიტომ მოსალოდნელი იქნება მრავალი უბედური შემთხვევაო.

სულ მუშაობას თავი დაანება და გაფიცვაში მონაწილეობა მიიღო 3 იანვარს 91 ათასმა მუშამ, 114 მღვიმე-მაღაროში. რამდენისამე დღის განმავლობაში გაფიცულ მუშათა რიცხვი 200 ათასამდე ავიდა. მეპატრონენი აქამდე უარზე დგანან. გაფიცული მუშები მშვიდობიან გზას ადგანან და წესიერება არსად არ დარღვევიათ.

ინგლისი. ინგლისიდან სწერენ „რ. ვ.“-ს, რომ ამ მოკლე ხანში უნდა მოხდეს ინგლისის სამთო-მრეწველობის მუშათა კრება იმ საკითხის განსახილველად და გადასაწყვეტად, თუ რანაირად უნდა გაუწიონ დახმარება ინგლისელმა მუშებმა გერმანიაში (რეინლანდში) გაფიცულ თავის ამხანაგებს.

საფრანგეთი. საფრანგეთის მინისტრ-პრეზიდენტმა კომბმა შემდეგი შინაარსის არზა წარუდგინა პრეზიდენტს ლუბეს სამსახურიდან გასვლის შესახებ: „ღრმა მწუხარებით უნდა აღგინიშნო ის გარემოება, რომ იძულებულ გავხდი თავი დამენებებია სოციალურ რეფორმათა განხორციელებისათვის, რომლებიც მოიწონა საფრანგეთის ორივე პალატის რესპუბლიკანელთა უმრავლესობამ. ამ ბოლო დროს გამოირკვა შემდეგი გარემოება: ეს უმრავლესობა იმდენად დიდი არ არის, რომ იმედი მქონოდა რეფორმათა პროგრამის აასრულებისა. უკვე 18 თვეა, რაც მე ნიშანში ამომიღეს თავ-მომწონე კარიერისტებმა, სამღვდელოების ქომაგებმა და გიჟრო ნაციონალისტებმა. სამღვდელოება და იმისი მომხრენი ყოველთვის გულ-მოდგინედ ქომაგებოდნენ საპატიო ადგილების მქონებლთ, პატივის-მოყვარეთ. ყველა ესენი არაფერს ზოგავდნენ, რათა განხეთქილება ჩამოეგდოთ რესპუბლიკის მომხრეთა შორის და ბოლოს მიაღწიეს საწადელს. მე დაუღალავად, გულმოდგინედ ვებრძოდი ჩემ მოწინააღმდეგეებს და, მხოლოდ ჩემ თავზე რომ მეფიქრა, კიდევაც განვაგრძობდი ბრძოლას. დარწმუნებული ვიყავი, რომ საფრანგეთის ხალხის უმრავლესობა ჩემი მომხრე იქნებოდა, იმის მიუხედავად რომ რესპუბლიკანელთა ზოგიერთი წ[illegible]გენელი სხვა ბანაკში გადავიდა. მაგრ[illegible]ლად ვხედავდი, რომ შეიძლება მ[illegible]რიყო ის დრო, როცა რაიმე შ[illegible]ზეზით პალატის უმცირესობა თანაგრძნობას და ამიტომ სამსახ[illegible]ვარჩიე. [illegible] პალატამ [illegible] ჩემი სამო[illegible] პროგრამას.

ავსტრია. [illegible]დან იწყება გაზ. „ნოვ. დნ.“-ს კორესპონდენტი, გაზაფხულზე ავსტრიისაგან რუსეთს ახალი საფრთხე მოელის. ჯერ-ჯერობით აშკარად არაფერს ამბობენ ამის შესახებ, საქმის მცოდნე პირთათვის-კი ეს გარემოება ეჭვს გარეშეა. წელს ვენაში თავი მოიკლა ერთმა ნიჭიერმა რუსის ჟურნალისტმა, რომელიც დიდხანს სცხოვრობდა ბოლგარიაში და კარგად იცოდა აღმოსავლეთში მომხდარ ამბების ვი[illegible]. გასულ წელს გაზაფხულზე მაკედონელ მეამბოხეთა მეთაურმა სარაფოვმა ინახულა [illegible] ჟურნალისტი, საუბარი ჰქონდა მასთან, რომლის შემდეგ რუსის ჟურნალისტმა უთხრა „ნოვ. დნ.“-ს კორესპონდენტს: „დაიხსომეთ ჩემი სიტყვა, წელიწადი არ გაივლის და ავსტრია მაკედონიას დაიპყრობსო“.

მაკედონიაში ამ ჟამად რაღაც მზადებაა, ფარულიც და აშკარაც. საკმაოა დაუკვირდეთ ავსტრიის გაზეთების კილოს, რომ გადასწყვიტოთ, ავსტრიაში სერიოზული ამბები უნდა მოხდესო. პარლამენტის გასულ სესიაში სამხედრო მინისტრმა აღნიშნა რუსეთის დამარ[illegible]ბა და მოუმზადებლობა და სამხედრო ხარჯის მომატება მოითხოვა. გაზეთებმა მაშინ ერთი ამბავი ასტეხეს, ცხადად, გარკვევით გვითხრეს, რად გინდათ ახალი ზარბაზნები და ფლოტის გაძლიერება, თუ ავსტრიას მეგობრული განწყობილება აქვს რუსეთთანაო. როგორც სჩანს, გაზაფხულზე, როცა მა[illegible] ისევ დაიწყება ამბოხება, ავსტრია გ[illegible] ამბოხების ჩასაქრობა[illegible] და დაიჭერს მაკედონიას იმ იმედით, რომ [illegible] აღმოსავლეთის ომში მოქანცული რუსეთი წინააღმდეგობას [illegible] გაუწევს ავსტრიას.

წერილებ

თელავი. მკითხველს მგონი, უნდა ახსოვდეს, მთავრობამ გადასწყვიტა თელავში პირველ-[illegible] ერთ-კლასიან სკოლის დაარსება. ორი წელიწადი ქალაქის თვით-მმართველობასთან მოლაპარაკება ჰქონდა შემწეობის აღმოჩენაზე. დეკემბერს ქალაქის რწმუნებულთ გადასწყვიტეს ყოველ წლივ 100 მან. დაეხმარნენ და საქმე ამით დაბოლოვდა. სკოლის შესანახად ხაზინა იძლევა 600 მან. სკოლა ოფიციალურად უკვე დაარსდა და მოსწავლეებსაც იღებენ. ჯერ-ჯერობით ერთი მასწავლებელია, ხოლო შემდეგ, როცა საჭირო იქმნება, მოუმატებენ. სკოლა ერთ-კლასიანია 3 განყოფილებით, იღებენ ორივე სქესისას. სწავლის ფასი წელიწადში 10 მან. იქნება. დაბალი სასწავლებელი, რა თქმა უნდა, ურიგო არ არის, მაგრამ თელავისა და მთლად კახეთისათვის დიდად და დიდად საჭირო საშუალო სასწავ-

ლებელი. ერთ-ხანად თელავ-თიანეთის მაზრების თავად-აზნაურთა კრებამ გადასწყვიტა უმაღლესად ნაბოძებ ფულით თელავში პროგიმნაზიის დაარსება. სამწუხაროდ, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნ. კრებამ არ შეიწყნარა ეს საქმე. ჩვენსკენ ქალების სწავლების საქმე უკეთ არის, ვიდრე ვაჟებისა. აქაურ წმ. ნინოს სასწავლებელში (რომელსაც პროგიმნაზიის უფლება აქვს), სწავლა-დამთავრებულნი თავისუფლად შედიან ტფილისის ქალთა საშუალო სასწავლებელში სწავლის გასაგრძობად. აქაურ ვაჟთა სასწავლებლების კურს-დასრულებულნი-კი ორ წყალ-შუა რჩებიან: სასულიერო სასწავლებლიდან ერთად-ერთი გზა აქვთ—სემინარია. თუ ვისმე ბედმა გაუღიმა და მკაცრ გამოცდის შემდეგ მიიღეს, ხომ კარგი, თუ არა და რჩება ისე, ამასობაში 21 წელი უხდება, ატანს დრო სამხედრო ბეგრის მოხდენისა და ამისათვის ზოგი ცოლ-შვილს ეკიდება და დიაკვნად მიდის, ზოგი სოფლის მასწავლებლად 10—15 მანეთზე. არა სანუგეშოა საქალაქო სასწავლებელი, აქ სწავლა-დამთავრებულნიც პირ-და-პირ ვერ იკვლევენ სწავლა-განათლების გზას, თუ არ მომზადებით და თვეში ათ-ათ თუმნის ხარჯით. მე თვითონ ორი მაგალითი ვიცი, რომ ერთ წელიწადში მშობლებს აქ სწავლა-დამთავრებულ შვილის მომზადება დაუჯდათ 700—900 მანეთი. წვრილი ხარჯი და ტფილისში წასვლა-მოსვლა რომ არ ვიანგარიშოთ. ათ-და-ოც თუმნობით ხარჯი-კი ყველას არ შეუძლიან. ამიტომ უმრავლესობა მიდის ტფილისში—ნოქრად ან სხვა ადგილზე, ან კიდევ დაბალ სპეციალურ სასწავლებელში რაიმე ცოდნის შესაძენად. სულ სხვა იქნებოდა, გიმნაზია თუ არა, პროგიმნაზია მაინც ყოფილიყო თელავში. შეუძლებელსაც სწავლის მიღების საშუალება მიეცემოდა, რადგან სწავლის ფულის გადახდას შეიძლებდა და თვით ცხოვრება-კი თელავში ისეთი ძვირი არ არის, 6—7 მანეთად შეიძლება მოსწავლის შენახვა, როცა ტფილისში სულ ცოტა 15—20 მანეთია საჭირო.

დიმიტრაშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ

მ. ხ!

გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ ამ შენიშვნას, რომელიც ეხება თქვენ გაზეთის პეტერბურგელ კორესპონდენტის წერილს 10 დეკემბრის ქართულ საღამოს შესახებ.

ამ წერილში, სხვათა შორის, ნათქვამია: „თუ გამოვაკლებთ იმ 15%, რომელიც საღამოს გამგეთ საკუთარის სურვილით შესწირეს წითელ ჯვარს, მგონი, ხარჯი ვერც-კი დაიფაროსო“. პირველს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ თუ
მოსავალი არ იქნებოდა, არც გამოკლება
ებოდა რისამე. მაგრამ საქმეც ის არის,
სავალი არც ისე მცირე ყოფილა,
სპონდენტსა ჰგონია. შემდეგ,
ამოს გამმართველმა, საჭიროდ
შემდეგი. შემოსავლის 15%
ელ წრის თხოვნით გადავეცი
ესებულებას-კი არა, რომელ-
ქს-რა შორეულ აღმოსავლეთ-
ჯახებთან, არამედ განსაკუთრე-
ულებისთვის დაარსებულ
კომიტეტს. ბარათი ფულის ჩაბარებისა ხელთა მაქვს. დასასრულ არ შემიძლიან ჩემი გაკვირვება არ გამოვთქვა იმის გამო, თუ რად დასჭირდა ბ-ნ კორესპონდენტს ფაქტების ასე დამახინჯება.

პეტერბურგში ქართულ საღამოს გამმართველი
ნ. ა. რუფუო ჰერცოგინია სასსო.

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

17 იანვარი.

ვლადივოსტოკი, 15 იანვარი. (საკ. კორ.). მოვიდა ორი გერმანული გემი სხვადასხვა გვარ ტვირთით.

ტოკიო. 16 იანვარი, ოფიციალური. რუსის ჯარის კოლონამ გუშინ ორი კონტრ-იერიში მიიტანა იაპონელებზე ლუნდუგასთან, მაგრამ მოგერიებულ იქმნა. დღეს დილით გათენებისას იაპონელებმა რუსებზე იერიში მიიტანეს სოფ. ფიცეაიხოცხისაიას, რომელიც სამ კილომეტრის სიშორეზე მდებარეობს ხეიგოუტაის ჩრდილოეთით და ხელში ჩაიგდეს ეს სოფელი. რუსებმა კონტრ-იერიში მიიტანეს იაპონელებზე, რომელნიც ხეიგოუტაის დაეცნენ, მაგრამ რუსები უკუ აგდეს. დღეს დილით იაპონელებმა დაიჭირეს ხეიგოუტაი, რუსის ჯარის ატრიადებმა უკან დაიხიეს და მდინარე ხუნხეს მარჯვენა ნაპირს გაიღვნენ, ხეიმოუტაის და ლანდუნგოუს გასწვრივ. რუსებმა შეჯაბაოსთან და ლიდაჯინთან გუშინ რამდენჯერმე იერიში მოიტანეს, მაგრამ იძულებულ იყვნენ უკან დაეხიათ.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

17 იანვარი

ჩიფუ, 16 იანვარი. გუშინ ჯონკა მოვიდა 11 პორტ-არტურელით. აქედან შანჰაის წავიდა ორი გემი 1800 პორტ-არტურელით, მათ შორის დეპარტამენტის მოხელე სახელმწიფო ხაზინისა ნოელოვი, მისი თანაშემწე სალოვიოვი, პორტ-არტურის პოლიციმეისტერი ტაუცი, მდივანი სამოქალაქო მმართველობისა სერებრენკოვი, მომრიგებელი მოსამართლე დმიტრიევი, სამოსამართლო გამომძიებელი სკალაზუბი, მასწავლებლები მოროშკინი და გინციცკი, ინჟენერები ოლიკოვსკი და ზვანეცკი. დღეს კიდევ მოვიდა 11 ჯონკა პორტ-არტურელებით, ველით კიდევ 20 ჯონკას. სამი გემი 2000 პორტ-არტურელებით ადესას წავიდნენ. პორტ-არტურიდან აქ მოსულ ორ ჯონკაზე, დიდი სიცივის გამო, მეტი ნაწილი ქალებისა და ბავშვებისა თითქმის გაყინულან, გზაზე დიდი მეცადინეობა დასჭირდათ ამათ მოცოცხლებას ხელოვნურის წესით.

ტოკიო. ახალი ფლოტილია წყალქვეშ მავალ ნავებისა ამას წინედ [illegible]კოსუკიდან. ხმა დადის რომ იაპონიამ ინგლისში შეუკვეთა რამდენიმე დიდი სამხედრო გემი. ყოველფრით სჩანს გაძლიერებული მუშაობა. ბეჯითად ცდილობენ, რომ იაპონიის ფლოტი საბრძოლველად მოამზადონ. იუწყებიან, რომ ჯავშნიანი გემი „იაშიმა“ და „იასახი“ შეაკეთეს და სრულებით მზადაა ბრძოლის ასპარეზზე გასასვლელად.

სუეცი, 17 იანვარი. მოვიდა ტრანსპორტი „ირტიშ“-ი.

სანტ-იაგო, („რეიტერი“) კონგრესის სხდომა. ხალხის დაუსწრებლად წაიკითხეს ამერიკულ ფირმის წინადადება, რომლითაც ითხოვდნენ ჩილიის ექვსი სამხედრო გემი მოგვყიდეთო. კონგრესმა უარ-ჰყო ეს წინადადება და პრინციპიალურადაც არ შეეხო ამ კითხვას და არც უთათბირია მივყიდოთ თუ არა ჩილის გემებიო. ხსენებული ფირმა ძლიერ დიდ ფასსაც იძლეოდა.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

17 იანვარი.

პეტერბურგი. რადგან გაზეთმა „ნაშა ჟიზნ“-მა თავის მავნე მიმართულება არ მიატოვა, შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: გამოეცხადოს გაზეთს მეორე გაფრთხილება.

მოსკოვი, 16 იანვარი. ყველა ამბულატორიებში და საავადმყოფოებში დაწესდა ექიმების მორიგობა. პირველ მოთხოვნილებისათვის ექიმი, ფელდშერი და მოსამსახურე წამსვე უნდა წავიდნენ სადაც-კი ხალხს უბედურება რამ შეემთხვევა.

ორიოლი, 15 იანვარი. გაიხსნა ბავშვთა სამკურნალო მარიამ მაგდალინელის სახელობაზე.

პსკოვი, 16 იანვარი. მოხდა დამაარსებელთა კრება იმ საზოგადოებისა, რომელიც შესდგა ბავშვების გადასადებ სენთა წინააღმდეგ საბრძოლველად პსკოვში და მის გუბერნიაში. ახალმა დაწესებულებამ უმთავრესად იმაზედ უნდა იზრუნოს, რომ საშუალება აღმოაჩინოს საბავშო საავადმყოფოს ასაშენებლად.

კიევი, 16 იანვარი. კიევის პოლიტეხნიკური ინსტიტუტი ფინანსთა მინისტრის განკარგულებით დროებით დაიხურა.

ბათუმი, 16 იანვარი. არტაანის ქუჩაზე მიმავალი აფიცერი პოლიციის სადარაჯოსი თავადი გურიელი მოკლეს. მკვლელი ხალხში შერია, საიდანაც კიდევ რამდენჯერმე გაისროლა.

პენზა. მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტათ ყოფილებმა დაადგინეს აღნიშნონ 150 წლის თავი უნივერსიტეტისა და ამის სახსოვრად დააწესონ სტიპენდია პირველ ვაჟთა გიმნაზიაში.

ბუდაპეშტი, 16 იანვარი. პოლიტიკურ წრეებში ჯერაც არ იციან რითი გათავდება კრიზისი. ბევრი ასე ფიქრობს, რომ შესაძლოა მხოლოდ კოალიციონური სამინისტრო სელეს მეთაურობით.

ბუხარესტი, 16 იანვარი. მმართველობას სწადია გამართოს მართებლობის ლოტარეა, შემოსავალი მოხმარდება სოფლის მცხოვრებთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ბელგრადი. ღამე შეიარაღებული კაცები გაზეთ „ნაროდნი ლისტი“-ს სტამბაში შეცვივდნენ—მომუშავენი შებოჭეს და მანქანები გააფუჭეს.

ლონდონი. (საკ. კორ.). გამოქვეყნებული ლურჯი წიგნი ტიბეტში ინგლისის ექსპედიციის შესახებ აჩვენებს, რომ ინგლისის მთავრობის და პოლკოვნიკ იუნგხეზბანდის შორის, სერიოზული გაუგებრობა და უთანხმობა ჩამოვარდა შესახებ იმ თანხის რაოდენობისა, რომელიც ტიბეტმა უნდა ინგლისს უზღოს ხარჯის ასადგენად. იმ ხელშეკრულობით რომელზედაც პოლკოვნიკს ხელი უწერია ტიბეტი მოვალეა გადიხადოს 500 ათასი თუმანი 75 წლის განმავლობაში. ინდოეთის საქმეთა სტატს სეკრეტარმა ტელეგრაფით აცნობა ინგლისის მთავრობას თავის უთანხმობა ამ გვარ კონვენციაზე, რომლის დადგენილება ძირითადი არღვევს იმ ინსტრუქციას, რომელიც იუნგხესბანდს მიეცა. ინგლისის მთავრობამ არ დაამტკიცა არავითარი იმ გვარი ხელშეკრულობა, რომელიც მძიმე ტვირთად დაედებოდათ მომავალ თაობასაც და თანაც იძულებული გამხდარიყო ჩუმბის ხეობა სამ წელიწადზე მეტი ხელთ სჭეროდა. მთავრობამ ინდოეთის ვიცე-კოროლს მიანდო შეუმციროს საზღაური ფული ტიბეტელებს 75-დან ვიდრე 25 ლაკა რუპიამდე, თანაც აცნობოს ტიბეტელებს, რომ ამით მთავრობას სურს რომ მათ შეღავათი მისცეს.

ბელგრადი. (საკ. კორ.). ძნელი და აწეწილი მდგომარეობა შეიქმნა. სასახლე უფრო და უფრო ავსტრიელთა ტენდენციების იხრება, რომელთა შეჩერებაც სამინისტროს ვერ მოუხერხებია. შეთქმულებს, რომელნიც სასახლეში გაძლიერდნენ, უნდათ რომ თავიდან მოიშორონ პაშიჩი, ბალუჟჩის მაგივრად, რომელიც შეთქმულებთა პარტიის წინამძღოლად ითვლება, მეფე ამას ჯამაგირს უმატებს.

გუშინ საღამოთი 20 კაცისაგან შემდგარი შეიარაღებული ბრბო, რომელნიც შეთქმულებათაგან იღებენ ჯამაგირს, შეცვივდა ჟომკოვიჩის სტამბაში, სადაც ოპოზიციელთა გაზეთები იბეჭდებიან, მიანგრია სტამბა და სტამბის მოსამსახურეებს თავპირი დაამტვრია. ბელგრადს შიშის ზარი დაეცა.

სოფია, (საკ. კორ.). ზოგიერთა გაზეთები მთავრობას ამტკიცებენ: ჯერ უნდა შეემოწმებინად რამდენად მართალი იყო ის გაზვიადებული და ერთმანეთის წინააღმდეგი ცნობები პეტერბურგში მომხდარ უწესოების და მუშათა გაფიცვის შესახებ, რომელსაც „ბოლგარიის სააგენტო“ იძლეოდა და მერე ისე გამოექვეყნებინათო.

ვენა. ბოლგარიის მთავარი წაბრძანდა ფიუმედან; ბელგრადზე გაივლის და სოფიას მივა, ტულიის გაზეთების ცნობით, [illegible] იმპერატორმა ვილჰელმმა განზრახ[illegible] მთავარი, იმ მიზნით, რომ ამით შთაბეჭდილება მოახდინოს სულთანზე და აიძულოს იგი სამხედრო იარაღი გერმანიის ქარხნებს შეუკვეთოს და არა საფრანგეთისას.

ბერლინი. პრინცი ეიტელ-ფრიდრიხი ცოტათი უკეთ არის. სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ჯარის სარდალი გენერალი ტროტა იუწყება შიერფეპენგას ძლევა მოსილ ბრძოლის შესახებ—მტერი თავ-ზარ დაცემული გარბოდაო.

ბუდაპეშტი. სელლიმ განაცხადა, რომ არჩევნების შედეგმა სერიოზული შიში გამოიწვიაო. სელლის იმედი აქვს, რომ მოსახერხებელი იქმნება მოიწვიოს კოალიციის ელემენტები, რომელნიც დამყარებულ არიან 1867 წლის თანხმობაზე.

ვლადიმირი. გაიხსნა სახალხო სახლი. შენობა სადგომად მშვენიერია, 50,000 მან. დაჯდა, ყოვლად სამღვდელო ნიკონმა აკურთხა ყველა მართველობათა წარმომადგენელის თანდასწრებით. გაიმართა ხელის მოწერა ღამის თავშესაფარისთვის შენობის ასაშენებლად.

ომსკი. მესამე კვირაა ქალაქი უნავთოთ არის, სანათად ხმარობენ პარონავთს, რომელსაც ყიდულობენ გირვანქას 9 კაპ. მოტანას ასე ჩქარა არ საიდან ელიან. შაქრის და მ[illegible]რე შემის ფასმა საშინლად აიწია.

ყაზანი. ყაზანის წიგნთა მბეჭდავ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებაზე დაადგინეს: აღსანიშნავ მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადებისა ისევ მიიღონ გამორიცხული წევრნი და იზრუნონ მოხუც წევრთა თავშესაფარის გასამართავად.

ხარკოვი. 17 იანვარი. უნივერსიტეტის ეკლესიაში ხარკოვის უნივერსიტეტის ასი წლის თავის წირვა და პარაკლისი გადაიხადეს. სადღესასწაულო აქტი სექტემბრამდე გადაიდო, როდესაც განზრახულია ძეგლი დაუდგან უნივერსიტეტის დამაარსებელს კარაზინს.

პეტერბურგის ბირჟა 17 იანვარი 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. ტ.	94,10
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,02½
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,80
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,72½
ბირჟის დისკონტი	6,7½%
4% სახელმწიფო რენტა	88⅛
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	86
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	396
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	319
5% გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	263
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	223

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში
ღია არის დილით 10—2 საათ
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 131.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—8 „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევს 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. [illegible] (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.) 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევს 3 ს. 50 (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 17 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევს 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევს 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისი. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯორის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

შემთხვევით იყიდება

სამოქალაქო შინელი კამჩატკელ წავის ტყავის საყელოთი, თვით შინელს ავსტრალიელ კენგურას ტყავი აქვს. შინელის ნახვა შეიძლება მკერვალს ხანანიევთან, ლორისმელიქოვის ქუჩა, № 7, სახლი თამამშევისა. (2—2)

№ 4711

ო-დე-კოლონ

№ 4711 ო-დე-კოლონის საუცხოო სუნნელება აქვს და მალიან კარგ მოქმედებს. ახლა ამ ო-დე-კოლონს ხმარობს მთელი [illegible]

ფერდ. მიულჰენს
რეინის კელნი
მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის კარის ვაჭარი.



(6—მც.—2)

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა ვანკის დიდი ქ., № 27, ტელეფ. 372.

კლიშეების გაკეთება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

СѢДЕЛЬН СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრნიეს ახლოს. (წ.—176—102)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

იყიდება

ხეხილის დამყნილი ხეები 1—3 წლისა კ. თ აფრიკიანის სანერგეს „შრომიდან“, რომელიც ლაგოდეხშია. სანერგესთან დიდი საჩქოლეა, სადაც ყოველგვარ ჩქოლის ამორჩევა შეიძლება. კატალოგები უფასოდ გაიგზავნება. მსურველმა უნდა მიმართოს: ქ. გორში კ. ფ. აფრიკიანს. (3—1)

ერთი ფინჯანი კაკაო

ვან-ჰუტენისა

Какао ванъ Гутенъ
საუკეთესო მოსანელებელი საუზმე
Фабриканты C. J. van Houten & Zoon. Weesp (Голландія)
Н.НИКОЛЬСКІЙ МОСКВА

(4—მც.—1)

ნავთის მრეწველ ამხანაგობის

შხტას

გამგეობას 12-დან 20 იანვრამდე იწვევს პაის პატრონთ ამხანაგობის კანტორაში, რომელიც მოთავსებულია ლერმონტოვისა და ველიამინოვის ქუჩების კუთხეში, ხანქალამოვის სახლში, ბანკში წარსადგენ პაიბზე ხელის მოსაწერად. კანტორა ღიაა დილით 10—2 ს., საღამოთი 6—8 ს. (3—2)

« იგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანაჩი. მ. კ.	— 10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	— 50
ბნელით, მოთხრობა—მელანიასი	— 20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1 50
II და III ტომი თითო	1 —
ი. ჭავჭავაძის I ტომი	— 70
იგივე II და III ტომი თითო	— 60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	— 80
სოფლის კერწყლს, დ. მაჩხანელისა	— 10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	— 40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	— 60
რაფ. ერისთავის I ტომი	— 60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	— 20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	— 50
სიბრძნე ბალავარისა	— 30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	— 15
ღვინის დაყენება, პროფ. ვ. პეტრიაშვილისა	1 50
რძე, მისივე	1 50
ცეცხლით და მახვილით, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	— 80
დასტურ-ლამა	— 20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	— 20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	— 25
ენნით რაფუჯის, თარგ. სომხურიდან ბ. ევანგულოვისა	— 1

მაღაზია ტფილისში

კ. დ. კობახიძისა

(შუა-ბაზარში, სოლომონოვის ქუჩის კუთხეში).

მიღებულია დიდ-ძალი საეკკლესიო ნივთები, ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი თვალეულობა. მსურველს გაეგზავნება საქონელი ფას დადებითაც, მხოლოდ უნდა გამოგზავნოს მანეთზე 15 კაპ. ბეი, მღვდლებს-კი გაეგზავნებათ უბეოდ, მხოლოდ წერილი უნ[illegible] შემოწმებული საეკკლესიო ბეჭდით. საქ[illegible] გზავნებათ იაფ-ფასათ.

Доз. ценз. Тифлисъ, 17 января 1905 г.

Электропеч. груз. изд.-ва [illegible] ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ.